

მარინა ხუნძაყიშვილი

სამართლებრივი კულტურა

ნაწილი 2

მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო



თბილისი, 2020

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში“ პროგრამის (ACPI) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International-ის ფილიალი საქართველოში (www.ph-int.org) აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიწარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან პარტნიორობით.

სასწავლო მასალა მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ კრებულში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება ავტორს და ის არ წარმოადგენს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიწარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

ავტორი: მარიანა ხუნძაყიშვილი

კონსულტანტები: თინათინ ებანოიძე, თეა მხეიძე,

შინაარსი

ადრეული ქორწინება.....	3
ოჯახში ძალადობა	13
ტრეფიკინგი	37
სამოქალაქო ჩართულობა	57
გამოყენებული ლიტერატურა	77

ადრეული ქორწინება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეთა ინფორმირება ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესახებ.

შედეგი: მოსწავლეები მსჯელობისა და ანალიზის საშუალებით, გააკეთებენ დასკვნებს, თუ რა რისკები ახლავს თან ადრეულ ქორწინებას. გაეცნობიან ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს. დაფიქრდებიან პოლიციის ვალდებულებაზე, მიიღოს პრევენციული ზომები და რეაგირება მოახდინოს ადრეული ქორწინების ფაქტებზე კანონის ფარგლებში.

დრო: 45 წთ

საჭირო რესურსები: კომპიუტერი, პროექტორი, A4 ფორმატის ქაღალდი, ფლიპჩარტი, მარკერი.

მთავარი გზავნილები მოსწავლეებისთვის:

- ა) ადრეული ქორწინების შედეგად, არასრულწლოვანთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რაც არ შეესაბამება ბავშვობის ასაკისთვის დამახასიათებელ ცხოვრების სტილს; შედეგად, მკვეთრად მცირდება ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი.
- ბ) ადრეულ ქორწინებას უკავშირდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები.
- გ) ადრეული ქორწინების იძულება ითვლება სამართალდარღვევად და პოლიცია ამგვარ ფაქტებზე რეაგირებს კანონის მიხედვით.

აქტივობა 1 - რა ვიცით ადრეული ქორწინების შესახებ?

მიზანი: მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევა ადრეული ქორწინების თემის მიმართ; მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. გაკვეთილის მიზნების გაცნობა.

დრო: 10 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

1 პოლიციელი იყენებს გონებრივი იერიშს მეთოდს - უსვამს კითხვებს მოსწავლეებს (სლაიდი #2) და მათი პასუხები გადააქვს ფლიპჩარტზე:

- ა) რა არის ის, რისი კეთებაც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ბ) როგორ იგრძნობდით თავს, თუ ვინმე აგიკრძალავდათ იმის კეთებას, რაც ძალიან გიყვართ ან უბრალოდ, აღარ გექნებოდათ მისი კეთების შესაძლებლობა?

გ) რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ისე, რომ ვინმემ აგიკრძალოთ საყვარელი საქმიანობა ან აღარ მოგეცეთ მისი კეთების შესაძლებლობა?¹

იმ შემთხვევაში, თუ მესამე კითხვასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მიზეზად გაიყდერა ადრეულმა ქორწინებამ, პოლიციელი აქცენტს აკეთებს ამ საკითხზე, ხოლო თუ არ დასახელდა, თვითონ ამატებს ჩამონათვალს.

2 კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, პოლიციელი აჯგუფებს მოსწავლეთა მოსაზრებებს, აძლევს მათ უკუკავშირს და აცნობს გაკვეთილის მიზნებს (სლაიდი #3):

„ჩვენ დღეს ვისაუბრებთ ადრეული ქორწინებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესახებ.

ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რამდენად შეიძლება განვიხილოთ ადრეული ქორწინება მოზარდისთვის საყვარელი საქმიანობის ხელისშემშლელ ფაქტორად და ახლავს თუ არა მას სხვა რისკები და არასასურველი შედეგები“.

აქტივობა 2 - ადრეული ქორწინება და კანონმდებლობა

მიზანი: მოსწავლეებისთვის ადრეულ ქორწინებასთან, როგორც კანონსაწინააღმდეგო ფაქტთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაცნობა.

დრო: 15 წთ

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის:

1 მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგებს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლს და საქართველოს კანონს სამოქალაქო აქტების შესახებ (შემოკლებულს სპეციალურად მოსწავლეებისათვის), ასევე, ორ განსახილველ შემთხვევას (იხ. **სამუშაო ფურცლები 1**) და აძლევს ინსტრუქციას (სლაიდი #4):

„თითოეულ ჯგუფს გეძლევათ 2 წუთი იმისათვის, რომ გაეცნოთ საქართველოს კანონს სამოქალაქო აქტების შესახებ და კანონებს სისხლის სამართლის კოდექსიდან, რომელსაც მე დაგირიგებთ. კანონები წარმოდგენილია შემოკლებული სახით და შესაბამისობაშია ჩვენი გაკვეთილის მიზნებთან.

მე წაგიკითხავთ ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ ორ შემთხვევას, რომელიც გადმოგეცემათ ამობეჭდილი სახითაც.

¹ Plan International UK. “Teacher resource - forced marriage.”

თითოეული შემთხვევის წაკითხვის შემდეგ, თქვენ გექნებათ 2-3 წუთი იმისათვის, რომ გადაწყვიტოთ, რომელ კანონზე ან კანონებზე დაყრდნობით შეიძლება მოხდეს აღნიშნულ შემთხვევაზე რეაგირება.

დაწერეთ შესაბამისი კანონის ნომერი ფურცელზე და აწიეთ ზემოთ ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი დანახვა.

დამატებით, მე-2 შემთხვევის გაცნობის შემდეგ, ერთი ან ორი წინადადებით უნდა ჩამოაყალიბოთ, თუ რა იქნება თქვენი პასუხი თამარის ბებულის სიტყვებზე.

თქვენს მიერ დასახელებულ კანონებს მე ფლიპჩარტზე დავწერ, შემდეგ კი, თითოეული ჯგუფის წარმომადგენელს ვთხოვ, დაასაბუთოს ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.“

2 მასწავლებელი კითხულობს შემთხვევებს (სლაიდი #5-6) და პროცესს აგრძელებს მიცემული ინსტრუქციის მიხედვით.

აქტივობა 3 - ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგები

მიზანი: ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგების გაანალიზება.

დრო: 15 წთ

1 ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

შემთხვევების შესახებ მსჯელობის შემდეგ, პოლიციელი კიდევ ერთხელ უბრუნდება მათ.

იგი მოსწავლეებს განუმარტავს (სლაიდი #7-9):

„ორივე შემთხვევაში ირღვევა მოზარდის უფლებები და ადგილი აქვს ძალადობის ფაქტს - ერთ შემთხვევაში, არასრულწლოვნის გამტაცებლის, ხოლო მეორე შემთხვევაში - მშობლების მხრიდან.

თუ ყურადღებას პირველ შემთხვევაზე გავამახვილებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელზას ცხოვრება რადიკალურად შეიცვლებოდა გათხოვების შემდეგ.

კონკრეტულად კი:

ა) განათლებაზე წვდომის შეზღუდვა - რადგან ელზა აღარ დადის სკოლაში, სავარაუდოდ, მას გაუჭირდება ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩაბარება და სკოლის საბაზო

საფეხურის ატესტატის აღება. ატესტატის გარეშე კი, იგი ვერ შეძლებს პროფესიული განათლების მიღებასაც.

ბ) განქორწინების ძალადობის რისკი - ელზასა და დავითს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობიდან გამომდინარე, მათი შეხედულებები, ღირებულებები, სურვილები და მოლოდინები სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით, დიდი ალბათობით, ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. ამ ფაქტმა მათ ურთიერთობაზე შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს და ერთად ცხოვრება შეუძლებელად აქციოს.

გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ქცევა - ხშირად, ადრეულ ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანი გოგონები ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან - მათ არ აქვთ დასრულებული განათლების მიღება, არ არიან დაუფლებულნი რაიმე პროფესიას, რის გამოც, ფინანსურად სხვაზე დამოკიდებულნი ხდებიან; გარდა ამისა, არ არიან საკმარისად თავდაჯერებულნი, უჭირთ საკუთარი უფლებების დაცვა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. ისინი იძულებულნი არიან დაემორჩილონ მეუღლის დაუსაბუთებელ მოთხოვნებს და გააგრძელონ ცხოვრება ამ პირობებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ადამიანი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სრულწლოვან ასაკში დაქორწინების შემთხვევაშიც შეიძლება აღმოჩნდეს და პირიქით - ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონა შესაძლოა არასოდეს გახდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, რადგან, რასაკვირველია, ყველა მამაკაცი არ არის მოძალადე.

თუმცა, ზემოთ მითითებული მიზეზებიდან გამომდინარე, ადრეული ქორწინებისას ოჯახში ძალადობის რისკები იზრდება.

დ) ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული რისკები - ადრეულმა ქორწინებამ შესაძლოა პრობლემები გამოიწვიოს ფიზიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ 16 წლამდე ასაკის გოგონები 5-ჯერ უფრო დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან მშობიარობის დროს გართულებების თვალსაზრისით².

რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, ადრეული ქორწინება ხშირად ხდება დეპრესიის გამოწვევი მიზეზი გოგონებში, რაც აიხსნება გაზრდილი პასუხისმგებლობებით, ადრეულ ასაკში ორსულობითა და ქორწინებასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორებით, რისთვისაც ისინი ემოციურად არ არიან მზად.

შეიძლება კითხვები გაჩნდეს მეორე შემთხვევასთან დაკავშირებით.

მაგალითად, შეიძლება ვინმემ იკითხოს:

² საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ადრეულ ასაკში ქორწინება - გამოწვევები და გადაჭრის გზები, 2016.

1. „ნუთუ სახელმწიფო უფრო მეტად ზრუნავს ბავშვებზე, ვიდრე მშობლები საკუთარ შვილებზე? რადგან შვილის გათხოვება გადაწყვიტეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ იციან, რა არის უკეთესი მათი შვილის მომავალი ცხოვრებისათვის.“
2. ბებია სიმართლეს არ ამბობს? მართლაც, შობადობა ძალიან შემცირდა და ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა თანდათან სულ უფრო კლებულობს.“

2 პოლიციელს ეკრანზე გამოაქვს ეს კითხვები (სლაიდი #10-14) და განმარტავს:

„რა თქმა უნდა, როგორც წესი, მშობლები თავიანთი შვილებისთვის საუკეთესო მომავლის შექმნას ცდილობენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ისინი ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენი სირთულე შეიძლება შეხვდეთ მათ შვილებს ცხოვრებაში, თუ:

- მათ არ ექნებათ მიღებული სათანადო განათლება;
- ვერ შეძლებენ საკუთარი უფლებების დაცვას;
- ვერ წარმართავენ ცხოვრებას დამოუკიდებლად;
- არ ექნებათ საკმარისი თავისუფლება;
- არ ექნებათ შესაძლებლობა, იცხოვრონ თანასწორუფლებიან და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ბევრად უფრო მეტი სირთულე იქმნება იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის ქორწინების შესახებ პოლიციისთვის არა დაუყოვნებლივ, არამედ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ხდება ცნობილი.

ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ორსულად არის, მიდის ექიმთან ვიზიტზე ან სამშობიაროდ, ექიმი კი, ვინაიდან მას კანონი ავალდებულებს, აკეთებს შეტყობინებას პოლიციაში. შედეგად, სრულწლოვანი „მეუღლე“ შესაძლებელია მიეცეს პასუხისგებაში, რაც შესაძლოა უფრო მეტი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის.

სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ არასრულწლოვნის დანიშნვის/გათხოვების ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ყველა ადამიანმა, განსაკუთრებით კი, მათ, ვისაც კანონი ამას ავალდებულებს (სკოლის დირექტორმა, მასწავლებელმა, ექიმმა, საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა და ა.შ.), აუცილებლად მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (112) ან/და სოციალური მომსახურების სააგენტოს (1505), რათა მოხდეს სწორი და დროული რეაგირება.

საინტერესოა ბებიას სიტყვების განხილვაც, რომელსაც საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად, ადრეულ ასაკში ოჯახების შექმნა მიაჩნია.

სინამდვილეში, იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნას მოჰყვეს, პირიქით, შესაძლოა გაიზარდოს განქორწინებების რიცხვი და კიდევ უფრო იკლოს შობადობის მაჩვენებელი. იგულისხმება ის, რომ არასრულწლოვან გოგონას, რომელიც უამრავ სირთულეს აწყდება ქორწინებაში - ვერ იღებს სასურველ განათლებას და ვერ ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას, არის ჩაგვრის ან ძალადობის მსხვერპლი, დამოკიდებულია სხვებზე ეკონომიკურად და შეზღუდული აქვს საკუთარ ბედთან დაკავშირებით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა, უჩნდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მუდმივად დაღლილი, დასუსტებული და უხალისოა - აღარ აქვს სურვილი, გახდეს მეორე და მესამე შვილის დედა. პირიქით, ყველანაირად ცდილობს, თავი დააღწიოს მძიმე ყოფას - ქორწინებას.

როდესაც ახალგაზრდები ქორწინდებიან მას შემდეგ, რაც მიიღებენ განათლებას, აქვთ საკუთარი შემოსავლის წყარო, ჩამოყალიბებულნი არიან საკუთარ შეხედულებებსა და ცხოვრებისეულ ღირებულებებში, ისინი უფრო მომზადებულნი ხვდებიან და უკეთ უძღვებიან ოჯახურ ცხოვრებას. შედეგად, იზრდება ალბათობა იმისა, რომ ისინი შექმნიან ბედნიერ ოჯახს, კმაყოფილები იქნებიან საკუთარი ცხოვრებით, ხანგრძლივი დროით შეინარჩუნებენ ურთიერთობებს და შვილების ყოლის სურვილიც ექნებათ.

რაც შეეხება ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევებთან დაკავშირებულ სამართლებრივ მხარეს (**სლაიდი #15**), პირველ შემთხვევაში, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის, სექსუალური ხასიათის შეღწევისა და ქორწინების იძულებისათვის, დავითს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელი ემუქრება, ისევე, როგორც მის მეგობრებს (მუხლი 143), რადგან ისინი დავითთან ერთად მოქმედებდნენ (**მუხლი 140, 143 და მუხლი 150¹**);

მეორე შემთხვევაში კი, თამარის მშობლებს ეზღუდებათ უფლება, მიიღონ შვილის იძულებით გათხოვების გადაწყვეტილება, რადგან ქორწინება დაიშვება მხოლოდ 18 წლის ასაკიდან (**მუხლი 1108**).

როგორც არაერთხელ გვითქვამს, მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია იმოქმედოს კანონის თანახმად და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

გარდა ამისა, პოლიცია, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოები და მთლიანად საზოგადოება, თავის წილ პასუხისმგებლობას იღებს, განახორციელოს პრევენცია ანუ მიიღოს წინასწარი ზომები მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. ეს უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს.

თქვენთან, როგორც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან დღევანდელი შეხვედრაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.“

3 შეაჯამეთ თემა გაკვეთილის მთავარი გზავნილებით (სლაიდი #16):

- ა) ადრეული ქორწინების შედეგად, არასრულწლოვანთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რაც არ შეესაბამება ბავშვობის ასაკისთვის დამახასიათებელ ცხოვრების სტილს; შედეგად, მკვეთრად მცირდება პირადი ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი.
- ბ) ადრეულ ქორწინებას უკავშირდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები.
- გ) ადრეული ქორწინების იძულება ითვლება სამართალდარღვევად და პოლიცია ამგვარ ფაქტებზე რეაგირებს კანონის მიხედვით.

აქტივობა 4 - უკუკავშირი

მიზანი: მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღება.

დრო: 5 წთ

ინსტრუქცია: სთხოვეთ მოზარდებს, უპასუხონ რამდენიმე კითხვას გაკვეთილის მიმდინარეობის შესახებ. აუხსენით, რომ პროგრამა შექმნილია მათთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია სწორედ მათი მოსაზრებები, რათა მომავალში გაითვალისწინოთ და საჭიროების შემთხვევაში, მასში სათანადო ცვლილებები შეიტანოთ.

გაკვეთილის შეფასების ფორმა:

დღევანდელი გაკვეთილის მიზანი იყო: -----

#	დებულება	ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები
1.	დღევანდელი გაკვეთილი საინტერესო იყო			
2.	მივიღე ახალი ინფორმაცია, რომელსაც გამოვიყენებ ცხოვრებაში			
3.	გაკვეთილზე მქონდა კითხვების დასმის შესაძლებლობა			
4.	გაკვეთილზე მქონდა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა			

5.	მიღებულ ცოდნას გავუზიარებ ჩემს მეგობრებს			
6.	მაქვს სურვილი დავესწრო შემდეგ გაკვეთილს			

გთხოვთ, გააკეთოთ მოკლე კომენტარი გაკვეთილთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. მაგალითად, რომელი აქტივობა მოგეწონათ ან არ მოგეწონათ ყველაზე მეტად? რა მთავარი დასკვნა გააკეთეთ გაკვეთილის შემდეგ? ხომ არ დაგრჩათ რაიმე კითხვა, რომელზეც პასუხი ვერ მიიღეთ? -

-

სამუშაო ფურცლები

მუხლი 140. სისხლის სამართლის კოდექსი. სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში

1. სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, –ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე.

მუხლი 143 - სისხლის სამართლის კოდექსი. თავისუფლების უკანონო აღკვეთა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბ) არასრულწლოვნის მიმართ - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

მუხლი 1108 - სამოქალაქო კოდექსი. ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 150¹ - სისხლის სამართლის კოდექსი. ქორწინების იძულება. ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

შემთხვევა 1: ელზა 14 წლისაა. მასზე შეყვარებულია მისივე თანასოფელი 25 წლის დავითი, რომელსაც სურს, რომ ელზაზე იქორწინოს. ელზას დავითთან ურთიერთობა არ აინტერესებს და გათხოვებასაც არ ჩქარობს. ამიტომ დავითმა მეგობრების დახმარებით იგი მოტყუებით წაიყვანა სხვა სოფელში, განუცხადა, რომ სახლში დაბრუნების უფლებას არ მისცემდა (**მუხლი 143**) და ამ დღიდან, იგი მისი მეუღლე გახდებოდა, სურდა თუ არა მას ეს (**მუხლი 150¹**).

ელზას 2 კვირის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ ოჯახის წევრები. როდესაც მას მშობლებთან დაკავშირების ნება დართეს, ელზამ მშობლებს აცნობა, რომ იძულებული იყო დავითთან ქორწინებას დათანხმებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას „სახელი გაუტყდებოდა.“ ახლა ელზა და დავითი 1 თვის დაქორწინებულები არიან და ელზა სკოლაში აღარ დადის.

შემთხვევა 2: თამარი 16 წლისაა. იგი კარგად სწავლობს და სკოლის შემდეგ განათლების მიღების გაგრძელებას აპირებს. თუმცა, მის მშობლებს მისგან განსხვავებული გეგმები აქვთ და შვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, მის გათხოვებას უახლოეს მომავალში აპირებენ.

გოგონა პროტესტის ნიშნად, სახლიდან გაიქცა, თუმცა პოლიციამ ის უკან, მშობლებთან დააბრუნა, მშობლებს კი განუმარტა, რომ მათ არ ჰქონდათ არასრულწლოვანი შვილის გათხოვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლება, რამაც ძალიან გააოცა და გააბრაზა მშობლები. თამარის ბებია კი, განაწყენებულმა მიმართა პოლიცილებს: „ხო, დაუჭირეთ ამ ახალგაზრდებს მხარი და სულ არ იფიქროთ ქვეყნის მომავალზე. თქვენ რა, არ იცით, რომ საქართველოში შობადობა შემცირდა და გავნახევრდით ერი? ადრე რომ 16 წლის და უფრო პატარებიც თხოვდებოდნენ, რითი იყო ცუდი? ახლა, ქალმა ჯერ უნდა ისწავლოსო, მერე მუშაობა დაიწყოსო, მერე ცხოვრება აიწყოსო და ამის მერე, შენ შემოგველე, ან მოისურვებს გათხოვებას და ან სულაც აღარ. როგორღა უნდა გამრავლდეს ერი?“ (**მუხლი 1108**).

ოჯახში ძალადობა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეთა ინფორმირება ოჯახში ძალადობის არსის, მასთან ბრძოლის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო მექანიზმების, პოლიციის როლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების შესახებ.

შედეგი: მოსწავლეები შეძლებენ ერთმანეთისგან განასხვავონ ოჯახში ძალადობა და ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობები, იმსჯელებენ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ მითებსა და რეალობაზე; ექნებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებს პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ მიღებულ შეტყობინებაზე. იმსჯელებენ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ. გაეცნობიან ცხელი ხაზის ნომრებსა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ ცალკეულ ტერმინებს; გაანალიზებენ თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ოჯახში ძალადობისგან მსხვერპლთა დაცვისთვის.

დრო: 45 წთ

საჭირო რესურსები: კომპიუტერი, პროექტორი, A4 ფორმატის ქაღალდი, მწვანე და წითელი ფერის A4 ფორმატის ქაღალდი (4-5 ცალი თითო ფერი), ფლიპჩარტი, მარკერი.

მთავარი გზავნილები მოსწავლეებისთვის:

- ა) უპატივცემულობა, უსამართლობა, დაუსაბუთებელი შეზღუდვები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა - ეს არ არის ჯანსაღი ურთიერთობა და არ არის მისაღები;
- გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ყველა - ასაკის, სქესის, ეროვნების, განათლებისა თუ სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად;
- ბ) ბავშვის დაცვა მშობლებისა და ახლობლების გარდა, შეუძლია სახელმწიფოს.

აქტივობა 1. რას ნიშნავს ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობა?

მიზანი: ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობების შესახებ მოსწავლეთა შეხედულებების გააქტიურება/ჩამოყალიბება. გაკვეთილის მიზნების გაცნობა.

დრო: 5 წთ

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის:

1 მასწავლებელი გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით, მიმართავს მოსწავლეებს კითხვით (სლაიდი #2):

თქვენი აზრით, როგორია ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობები ?

მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას, ხოლო პოლიციელს/მასწავლებელს ისინი გადააქვს ფლიპჩარტზე/დაფაზე.

რეკომენდაცია მასწავლებელს: არ არის აუცილებელი გონებრივი იერიშისთვის დიდი დროის დათმობა, ამისათვის გამოიყენეთ მხოლოდ 2 წუთი.

2 გონებრივი იერიშის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი აჯგუფებს მსგავს იდეებს, აძლევს პოზიტიურ უკუკავშირს მოსწავლეებს და ქვემოთ მოცემული განმარტების სახით აერთიანებს მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს (**სლაიდი #3**):

ოჯახში, სადაც ჯანსაღი ურთიერთობებია, **ღია კომუნიკაციაა**. ოჯახის წევრები ერთმანეთს უსმენენ, ცდილობენ გაიგონ, რა აწუხებთ, რა უხარიათ, რა მოსწონთ და რა - არა თითოეულ მათგანს. ისინი გრძნობებს ღიად გამოხატავენ და რთულ სიტუაციებში მხარს უჭერენ ერთმანეთს.

ჯანსაღ ოჯახში, რთული და დატვირთული ყოველდღიურობის მიუხედავად, მაინც ახერხებენ **დროის ერთად გატარებას**, რადგან მათ იციან, რომ ახლო და სიღრმისეული ურთიერთობების შენარჩუნებისთვის უმნიშვნელოვანესია ერთად ყოფნა. ეს შეიძლება გულისხმობდეს ერთად ვახშობას, გასეირნებას, სატელევიზიო გადაცემის ან ფილმის ყურებას, თამაშს, სახალისო აქტივობებით დაკავებას და სხვ.

ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობების დროს, **თითოეული წევრი აფასებს ერთმანეთის მიმართ გამოჩენილ ზრუნვას** და ხშირად უხდის ამისთვის ერთმანეთს მადლობას. ისინი აფასებენ ერთმანეთის მიღწევებსა და ძლიერ მხარეებს და ამისთვის შექებას არ იშურებენ. თუმცა, რაიმე განსაკუთრებულის გაკეთების გარეშეც ხშირად ეუბნებიან ერთმანეთს და განსაკუთრებით ბავშვებს, თუ როგორ უყვართ და რა მნიშვნელოვნები არიან ისინი მათ ცხოვრებაში.

ოჯახში შეიძლება კონფლიქტსაც ჰქონდეს ადგილი, თუმცა, ჯანსაღ ოჯახს აქვს **უნარი, სამართლიანად გადაჭრან კონფლიქტები**, თუ საჭიროა, ბოდიშიც მოიხადონ, დაეხმარონ ერთმანეთს შეცდომების გამოსწორებაში და სასარგებლო დასკვნებიც გამოიტანონ კონფლიქტისგან.

თუ შევაჯამებთ:

ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობები გულისხმობს ურთიერთპატივისცემას, სიყვარულს, ზრუნვას, პასუხისმგებლობების განაწილებას, მოთმინებას; სხვა სიტყვებით, ერთმანეთის კონსტიტუციური უფლებების³ დაცვას.“

³ ადამიანის კონსტიტუციური უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი მუხლი იხ. დანართში 1.

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

3 პოლიციელი განმარტავს:

კონსტიტუცია ნიშნავს სახელმწიფოს უზენაეს კანონს, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადამიანის უფლებებზე საუბარს. მაგალითისთვის:

მუხლი 14-ის თანახმად:

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 36 მიუთითებს:

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

4 ამის შემდეგ, პოლიციელი გასაცნობი მასალის სახით, ურიგებს მოსწავლეებს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან დაკავშირებულ ზოგიერთ მუხლს და განმარტავს, რომ გაკვეთილის დასრულების შემდეგ, შეუძლიათ გაეცნონ ამ მუხლებს. **იხ. დანართი 1.**

4 მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს (სლაიდი #4):

„დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ოჯახში ძალადობის თემაზე. მსჯელობის, ჯგუფური მუშაობისა და მინი-ლექციის საშუალებით თქვენ მიიღებთ ინფორმაციას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- რას ნიშნავს ოჯახში ძალადობა;
- რა როლს ასრულებს პოლიცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელი კანონის თანახმად მოქმედებს იგი;
- რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის მიერ გამოჩენილი პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილების ან მსხვერპლთა დახმარებისთვის.

აქტივობა 2. ძალადობის სახეები

მიზანი: მოსწავლეებისათვის ოჯახში ძალადობის ცნების განმარტება; ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის ფრაგმენტის გაცნობა.

დრო: 10 წთ

შენიშვნა: დამატებითი დროის არსებობის შემთხვევაში, ეს აქტივობა შეგიძლიათ გახადოთ უფრო ინტერაქტიული. **იხ. დამატებითი აქტივობა 1.**

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

1 პირველი აქტივობის დასრულების შემდეგ, პოლიციელი მიმართავს მოსწავლეებს შემდეგი ტექსტით (სლაიდები #5-12):

„ზოგჯერ, ოჯახური ურთიერთობები მკვეთრად განსხვავებულია იმისგან, რაზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება და ურთიერთპატივისცემის, ნდობის, სიყვარულის, ზრუნვის ნაცვლად, ადგილი აქვს ოჯახში ძალადობას - ისეთ ურთიერთობას, რომელიც ზიანის მომტანია ოჯახის რომელიმე წევრის ან წევრებისათვის.

ოჯახში ძალადობის დროს, ოჯახის ერთი წევრი ოჯახის სხვა წევრის ან წევრების მიმართ ახორციელებს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას:

- უყვირის, აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, უკრძალავს მეგობრებთან ან ნათესავებთან წასვლას ემუქრება, აშანტაჟებს, ამცირებს სხვების თანდასწრებით. მაგალითად, მოძალადე ქმარი აკრიტიკებს და დამამცირებელ ზედმეტსახელებს უწოდებს მეუღლეს შვილების, ნათესავების, მეგობრების, მეზობლებისა თუ უცხო ადამიანების თანდასწრებით; უწესებს ისეთ აკრძალვებს, რაც არ არის კავშირში ტრადიციებთან ან საზოგადოდ მიღებულ ნორმებთან და ერთი ადამიანის დაუსაბუთებელ პოზიციას გამოხატავს; პასუხისმგებლობას აკისრებს ისეთ მოვლენებზე, რომლებთან დაკავშირებითაც მას არ მიუღია გადწყვეტილება და თავს დამნაშავედ აგრძნობინებს და სხვ.

ნებისმიერი სახის ქცევა, რომელიც იწვევს პრობლემებს ადამიანის ემოციურ სფეროში, სტრესს, შფოთვის, დეპრესიულ მდგომარეობას ან ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას, **ფსიქოლოგიურ ძალადობას ნიშნავს.**

- ეხება ფიზიკურად - ხელს კრავს, ურტყამს, ესვრის ნივთებს, აწამებს, ზიანს აყენებს მსხვერპლის ჯანმრთელობას, აქცევს იზოლაციაში, უკანონოდ აღუკვეთავს თავისუფლებას და სხვ.

ნებისმიერი სახის ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს, ტანჯვას, ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანებას, **ფიზიკურ ძალადობას ნიშნავს.**

- უკრძალავს გამოიყენოს ქონება, რომელიც მათ თანაბრად ეკუთვნით ან განკარგოს ქონების კუთვნილი წილი, უკრძალავს სამსახურის დაწყებას ან აიძულებს მიატოვოს სამსახური; აიძულებს აიღოს სესხი ბანკიდან, აღებულ თანხას კი, თავად იყენებს; ოჯახის ზრდასრულ წევრს უზღუდავს ოჯახის საერთო ბიუჯეტიდან ფულის დახარჯვას ან მკაცრად უკონტროლებს, რაში დახარჯა თითოეული თეთრი; უზღუდავს საკვების მიღებას, საცხოვრებლით სარგებლობას და ნორმალური განვითარების სხვა პირობებს და სხვ.

ნებისმიერი სახის ქცევა, რომლითაც ხდება პიროვნების ეკონომიკური კეთილდღეობის შეზღუდვა მისი საკუთარი ან საერთო ფინანსების გაკონტროლების გზით, ეკონომიკურ ძალადობას ნიშნავს.

- ამყარებს სექსუალურ კავშირს ან ახორციელებს სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას (შეხება, სექსუალური შინაარსის საუბარი, ფოტოების ან ვიდეოს ჩვენება და სხვ.) ძალადობის, მუქარის ან უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

ნებისმიერი სახის სექსუალური ქმედება, რომელიც ხორციელდება პიროვნების თანხმობის გარეშე (მათ შორის, მეუღლეებს შორის), ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, სექსუალურ ძალადობას ნიშნავს.

- აიძულებს შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა; მაგალითად, აიძულებს შეასრულოს სამუშაო, რომლის შესრულებაც მას არ სურს, ან ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას, ხოლო მუშაობის შედეგად მიღებულ გასამრჯელოს მოძალადე თავად ითვისებს ან იღებს სხვაგვარ სარგებელს; არასრულწლოვანს აიძულებს ქორწინებას, აიძულებს ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას ან თანამონაწილეობას; აიძულებს ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკული ნივთიერებების ავად მოხმარებას, მოწყალეობის თხოვნას, წვრილმან ვაჭრობაში ჩართვას, რის გამოც მას ეზღუდება განათლების, ჯანსაღი ფიზიკური ან გონებრივი განვითარების შესაძლებლობა.

ნებისმიერი სახის ქმედება, რომლითაც ხდება პიროვნების იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, იძულებას ნიშნავს.

- დაუკმაყოფილებელს ტოვებს არასრულწლოვანი ოჯახის წევრის საბაზისო საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის ობიექტური მიზეზები არ გააჩნია. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მშობელმა/მეურვემ იცის, რომ აუცილებელია, ხელიც მიუწვდება და ფინანსური შესაძლებლობაც აქვს, მაინც არ ზრუნავს ბავშვის კვებაზე, მისი ტანსაცმლის ან ზოგადად, სხეულის სისუფთავეზე, არ ყიდულობს აუცილებელი მოხმარების საგნებს, არ ზრუნავს მის ჯანმრთელობაზე; გარდა ამისა, არ ახორციელებს დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელ მოქმედებებს, არ დაჰყავს სკოლაში და ამით უზღუდავს განათლების უფლებას, არ იცავს საფრთხეებისგან, არ იჩენს სიყვარულს, არ ინტერესდება მისი ყოველდღიური ცხოვრებით, მუდმივად იშორებს თავიდან და სხვ.

როდესაც დაუკმაყოფილებელია ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებები და ამას მუდმივი ხასიათი აქვს, უგულვებელყოფას ნიშნავს.

ქცევის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმების გამოვლინებას, კანონის თანახმად, **ოჯახში ძალადობა** ეწოდება.

როდესაც ადგილი აქვს ოჯახში ძალადობის რაიმე ფორმას, საჭირო ხდება სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება და მსხვერპლის დაცვა მოძალადისგან. ამიტომაც, არსებობს საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. ოჯახში ძალადობაზე რეაგირების დროს, პოლიციაც სწორედ ამ კანონს ეყრდნობა.

კანონის მიხედვით, **ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ითვლება ოჯახის ნებისმიერი წევრი:**

დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე, პირები, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას; (სლაიდი #13).

განვიხილოთ, კონკრეტულად რისი გაკეთება ევალება პოლიციელს ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში.“

აქტივობა 3. კითხვებზე პასუხის გაცემა - ინდივიდუალური მუშაობა

მიზანი: მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიციის ვალდებულებების შესახებ.

დრო: 5 წთ

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის:

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს (სლაიდი #14):

„ვიდრე მსჯელობას დავიწყებდეთ, მინდა შემოგთავაზოთ ინდივიდუალური სამუშაო.

ა) გაეცანით სამუშაო ფურცელზე N1 ჩამოწერილ დებულებებს იმის შესახებ, თუ რა ევალება პოლიციელს ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში.

ბ) თითოეულ დებულებასთან დაკავშირებით აღნიშნეთ, შეესაბამება თუ არა ის სიმართლეს.

გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ჩვენ ვისაუბრებთ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში პოლიციელის როლისა და უფლება-მოვალეობების შესახებ. თქვენ კი, შესაძლებლობა

გექნებათ, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კიდევ ერთხელ გადახედოთ თქვენს პასუხებს და გადაამოწმოთ, რამდენად სწორი იყო თქვენი მოსაზრებები.

შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა.“

აქტივობა 4. რა მოვალეობები აქვს პოლიციელს? ვინ და როგორ იცავს ბავშვებს?

მიზანი: მოსწავლეების ინფორმირება ძალადობის ფაქტებზე პოლიციის რეაგირების, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების, ცხელი ხაზის ნომრებისა და ცალკეული ტერმინების შესახებ.

დრო: 20 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

1 მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ მუშაობას, პოლიციელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ იგი ინტერაქტიული პრეზენტაციის საშუალებით მიაწვდის მათ ინფორმაციას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით (**სლაიდი #15**):

1. პოლიციის ვალდებულებანი ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში;
2. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში;
3. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები;

შენიშვნა: ინტერაქტიული პრეზენტაცია გულისხმობს მოსწავლეებისთვის შესაძლებლობის მიცემას, ჩაერთონ დისკუსიაში, გამოთქვან საკუთარი აზრი, დასვან კითხვები რაიმე საკითხის განხილვის დროს, რაც ეხმარება მათ, განივიტარონ კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარები.

ზოგიერთ შემთხვევაში, ქვემოთ მითითებულია ის, თუ რა დროს და რა კითხვა შეიძლება დაუსვას პოლიციელმა მოსწავლეებს, თუმცა, პოლიციელი ამით არ უნდა შეიზღუდოს და თავად შეუძლია განსაზღვროს, როდისაა უკეთესი მომენტი კითხვის დასმისა თუ რაიმე დისკუსიის წარმართვისათვის, რადგან ეს დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე.

2 პოლიციელი მიმართავს მოსწავლეებს⁴:

„მოდით, ვიმსჯელოთ ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში პოლიციის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. პარალელურად, თქვენ მოინიშნეთ თქვენს მიერ კითხვებზე სწორად და არასწორად გაცემული პასუხები.

წარმოიდგინეთ შემდეგი სიტუაცია:

ოჯახის ერთი წევრი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო განრისხებულ მდგომარეობაშია, იწყებს ოჯახის მეორე წევრის ცემას. ამ ფაქტს შეესწრო მოხუცი ბებია და 12 წლის ბავშვი, რომლებიც ამავე ოჯახის წევრები არიან. ყვირილის ხმაზე მეზობელიც შემოვიდა და სიტუაციის განმუხტვას შეეცადა.

⁴ სავალდებულო არ არის ტექსტის სიტყვა-სიტყვით გამეორება. პოლიციელს შეუძლია სათქმელი საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს, ისე, რომ არ დაიკარგოს არანაირი ინფორმაცია.

ძალადობის ფაქტის შემსწრე პირებიდან (ბებია, ბავშვი, მეზობელი), რომელ მათგანს არ აქვს პოლიციაში შეტყობინების გაკეთების უფლება?“

პასუხების მოსმენის შემდეგ, პოლიციელი განაგრძობს (სლაიდი #16):

ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების გაკეთების უფლება და ხშირად, მოვალეობა⁵ აქვს ყველა მათგანს. შეტყობინება შეიძლება გააკეთოს:

- თავად დაზარალებულმა,
- ოჯახის ნებისმიერმა წევრმა,
- პირმა, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ ან ფსიქოლოგიურ მომსახურებას,
- სხვა პიროვნებამ, რომელიც ამ ფაქტის მოწმე გახდა.
- არასრულწლოვნის შემთხვევაში, რასაკვირველია, ეს შეიძლება იყოს თავად ბავშვი, თუ მას ამის შესაძლებლობა აქვს და ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და სხვა დაწესებულებები, რომელთა შესახებაც მოგვიანებით დეტალურად ვისაუბრებთ.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას, პოლიციელი მოქმედებს *ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.*

პოლიციელი ვალდებულია გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე **მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ იქნა გაკეთებული შეტყობინება.**

გამომახების ადგილზე მისული პოლიციელი უპირველეს ყოვლისა, აფასებს, თუ ძალადობის რა ფორმასთან აქვს საქმე, რამდენად მძიმე შემთხვევაა, რამდენად დიდია ძალადობის შემთხვევის განმეორების რისკი და ა.შ. ამ ინფორმაციის მოპოვების საფუძველზე იგი იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა სახის რეაგირება მოახდინოს კონკრეტულ შემთხვევაზე.

იმისათვის, რომ პოლიციელმა შეძლოს სიტუაციის ადეკვატურად შეფასება, საჭიროა, გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს.

3 პოლიციელი უსვამს კითხვას მოსწავლეებს:

„თქვენი აზრით, პოლიციელმა ოჯახის წევრების გამოკითხვა უნდა განახორციელოს ერთმანეთის თანდასწრებით თუ ერთმანეთისგან განცალკევებულად?“

სლაიდი #17

⁵ როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანს ან/და მის მიმართ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას. **მუხლი 376.** დანაშაულის შეუტყობინებლობა.

(შენიშვნა: სავარაუდოდ, მოსწავლეების პასუხი იქნება ის, რომ ეს უნდა მოხდეს ერთმანეთისგან განცალკევებით, ამ შემთხვევაში, პოლიციელი დააზუსტებს, რას ფიქრობენ არასრულწლოვანთან დაკავშირებით).

4 მოსწავლეებთან მოკლე ინტერაქციის შემდეგ, პოლიციელი აგრძელებს თემას:

„წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია (სლაიდი #18):

პოლიციაში შევიდა შეტყობინება ოჯახში ბავშვზე ძალადობის შესახებ. პოლიცია გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე და სიტუაციაში გარკვევის მიზნით, გადაწყვიტა ბავშვის გამოკითხვა. ამ დროს, მშობლებმა პროტესტი გამოთქვეს და მოითხოვეს ბავშვის გამოკითხვას დასწრებოდნენ, რადგან მათი სიტყვებით, პოლიციელს არ აქვს უფლება, ბავშვი დაკითხოს მშობლების, როგორც მისი კანონიერი წარმომდგენლების გარეშე.

როგორ უნდა მოიქცეს პოლიციელი?

მოსწავლეებისგან მიღებული პასუხების შემდეგ, პოლიციელი განმარტავს (სლაიდი #19):

„რაც შეეხება არასრულწლოვნის გამოკითხვის თემას, მნიშვნელოვანია, რომ მისგან მოვისმინოთ ობიექტური ინფორმაცია; თუმცა, ეს უნდა მოხდეს ისე, რომ ერთის მხრივ, არ დაირღვეს მისი, როგორც არასრულწლოვნის უფლებები და მეორეს მხრივ, მან თავი უსაფრთხოდ იგრძნოს და გულახდილად ისაუბროს. ამიტომ, არასრულწლოვნის გამოკითხვა უნდა მოხდეს მისთვის სანდო ადამიანის თანდასწრებით.

რასაკვირველია, არასრულწლოვნის გამოკითხვა დაუშვებელია სავარაუდო მოძალადე მშობლის ან მშობლების თანდასწრებით. ასევე, დაუშვებელია სავარაუდო მოძალადე მშობლისთვის/მშობლებისთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმი, ახსნა-განმარტება) გადაცემა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყო კანონი, გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მისი გამოკითხვა მოხდეს იმ ადამიანის თანდასწრებით, რომელიც უზრუნველყოფს, გამოკითხვის პროცესის წარმართვას ბავშვისთვის ნაკლებად სტრესულ გარემოში მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ამიტომ, არასრულწლოვანზე ძალადობის შესახებ დადასტურებული/დაუდასტურებელი ინფორმაციის მიღების ან/და ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ან სხვა უფლებამოსილი სამსახურის წარმომადგენელს (ფსიქოლოგს, სოციალური მუშაკს) იმისათვის, რომ იგი დაესწროს გამოკითხვას, რითიც მოხდება ყველა ზემოთხსენებული პირობის დაცვა.

5 ოჯახში ძალადობის მსვერპლი ქალი ყოველთვის არ აკეთებს შეტყობინებას პოლიციაში. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა ოჯახში ძალადობის ფაქტი, იგი უარს აცხადებს, მიიღოს შესაბამისი დახმარება პოლიციის ან ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებისგან.

თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? (სლაიდი #20)

მოსწავლეთა მსჯელობის შემდეგ, პოლიციელი განმარტავს (სლაიდი #21-22):

ამის მიზეზი ზოგჯერ ის არის, რომ იგი თითქოს შეგუებულია ბედს, ხშირად, იდანაშაულებს საკუთარ თავს ან ფიქრობს, რომ არაფრის შეცვლა შეუძლია, რადგან არ აქვს სამსახური და არ შეუძლია არჩინოს საკუთარი თავი და შვილები. ამ ყველაფერს ხშირად ისიც ემატება, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალს არ აქვს გარშემომყოფებისგან მხარდაჭერის მიღების იმედი და პირიქით, ფიქრობს, რომ მას გაკიცხავენ „ოჯახის საქმეების გარეთ გამოტანის“ გამო.

გარდა ამისა, ძალადობის მსხვერპლი ხშირად, არ ფლობს სათანადო ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და იმის შესახებ, თუ რა დახმარების შეთავაზება შეუძლია სახელმწიფოს ძალადობისგან მისი დაცვისთვის.

ამიტომ, მნიშვნელოვნია, რომ პოლიციელმა მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გამოსცეს **შემაკავებელი ორდერი**“.

ხომ არ არის თქვენთვის ცნობილი, რას ნიშნავს შემაკავებელი ორდერი?

პოლიციელი ელოდება მოსწავლეთა პასუხებს და შემდეგ თავად აჯამებს საკითხს (სლაიდები #23-26):

„**შემაკავებელი ორდერი** არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დროებითი დაცვა.

მსხვერპლის დაცვის მიზნით, შესაძლებელია:

- მოძალადეს აეკრძალოს იმ სახლთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, ეს სახლი მისი საკუთრებაა თუ არა;
- მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- მოძალადეს აეკრძალოს თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობა;
- მოძალადეს აეკრძალოს ან შეეზღუდოს იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობა, ასევე, იარაღის შეძენის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვება;
- ასევე, აეკრძალოს იმ მოქმედების განხორციელება/არ განხორციელება, რასაც პოლიციელი მოცემულ მომენტში ჩათვლის აუცილებლად, წარმოქმნილი კონფლიქტის დარეგულირების მიზნით.

შესაძლებელია მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის (მაგ. არასრულწლოვანი შვილი) თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში გადაყვანა, თუ პოლიციელი ჩათვლის, რომ ეს მსხვერპლის დაცვის საუკეთესო საშუალებაა და მსხვერპლიც გამოხატავს თანხმობას.

პოლიციელი სვამს კითხვას (სლაიდი #27):

რა ვადით გამოიწერება შემაკავებელი ორდერი?

მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, იგი განმარტავს:

შემაკავებელი ორდერის ოქმში მოცემული კითხვების საფუძველზე, პოლიციელი დაადგენს, რამდენად მაღალია ოჯახში ძალადობის განმეორების რისკი. თქვენ დაგირიგებთ შემაკავებელი ორდერის შინაარსი და ოქმი, რასაც შეგიძლიათ დეტალურად გაეცნოთ გაკვეთილის შემდეგ. (იხ. დანართი 2).

თუ სახეზეა მაღალი ან საშუალო რისკი, შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვის ვადით, ხოლო თუ რისკი დაბალია, შემაკავებელი ორდერის ვადა მცირდება.

იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე არ შეასრულებს შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ვალდებულებებს, მაშინ მას დაეკისრება დამატებითი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შეიძლება გულისხმობდეს ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ან პატიმრობას.

5 ოჯახში ბავშვზე ძალადობა

მოკლედ უნდა შევეხოთ ოჯახში ბავშვზე ძალადობის თემასაც (სლაიდები #28-37).

ამ საკითხის განხილვისას დავეყრდნობით *საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილებას #437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე.* (იხ. დანართი 3.)

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ესაა ბავშვი, რომლის მიმართაც დარღვეულია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. ეს შეიძლება გულისხმობდეს ბავშვზე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან/და უგულებელყოფას.

ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა გაკეთდეს შეტყობინება სოციალური მომსახურების სააგენტოს მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოში ან პოლიციაში.

შეტყობინების გაკეთება ევალება ყველა იმ დაწესებულებას, რომელსაც შეიძლება რაიმე სახის შეხება ჰქონდეს ბავშვთან.

ეს შეიძლება იყოს:

- სკოლა,
- საბავშვო ბაღი,

- მანდატურის სამსახური,
- სკოლისგარეშე სახელოვნებო და/ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები,
- სამედიცინო სერვისი მიმწოდებლები,
- გამგეობა და ა.შ.

სააგენტოსა და პოლიციას რა თქმა უნდა, შეიძლება მიმართოს თავად ძალადობის ქვეშ მყოფმა ბავშვმა.

როგორც ავღნიშნეთ, ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება ევალება სოციალური მომსახურების სააგენტოს მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოს და პოლიციას.

ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის/გამოძახების ადგილზე.

იგი შეისწავლის და შეაფასებს მდგომარეობას, გაესაუბრება სავარაუდო მსხვერპლს, მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მოწმეებს (მეზობლებს, ნათესავებს, სხვ.) და მოიპოვებს მტკიცებულებებს.

თუ აღმოჩნდა, რომ არსებობს ბავშვზე ძალადობის ნიშნები ან საფრთხე ექმნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, დაუყოვნებლივ შეატყობინებს სოციალური მომსახურების სააგენტოს და ელოდება სოციალური მუშაკის მოსვლას. საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადასაც.

რასაკვირველია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში პოლიციელი გამოწერს შემაკავებელ ორდერს და აუცილებლობის შემთხვევაში, სოციალურ მუშაკთან შეთანხმებითა და მისი თანხლებით, უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანას მარტო ან მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად.

თუ გამოძახება მოხდა არასამუშაო საათებში/დღეებში და სოციალური მუშაკი ვერ ცხადდება შემთხვევის ადგილას, პოლიციელს ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში თავად გადაჰყავს ბავშვი უსაფრთხო ადგილას.

თუ სკოლას გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი მოსწავლის მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ან აქვს დაზუსტებული ინფორმაცია ამგვარ ფაქტთან დაკავშირებით (იხ. დანართი 4):

- ა) მანდატური, სპეციალურად გამოყოფილი უფლებამოსილი პირი ან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს;
- ბ) მანდატური, სპეციალურად გამოყოფილი უფლებამოსილი პირი ან სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის ანმობილური ჯგუფის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;

გ) მანდატური/უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში (სამმართველოში).

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი საჭიროების შემთხვევაში ახდენს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირებას შემთხვევის შესახებ.

სკოლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს შესაბამის პირთა კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი.

იგივე ვალდებულება გააჩნია ყველა სახის სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს/საბავშვო ბაღს/ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებას, სამედიცინო პერსონალს და სხვ.

წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია:

14 წლის ლუკა დადის ფეხბურთზე. ბოლო ხანებში, ფეხბურთის მწვრთნელი ამჩნევს, რომ ლუკა უნერგიოდ თამაშობს, თითქოს ყურადღებაგაფანტულია, მწვრთნელის შენიშვნებს ისმენს, თუმცა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, არც ესმის, რას ეუბნებიან. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, მწვრთნელმა მის სხეულზე მრავლობითი ჩაღურჯებები შენიშნა და ჰკითხა, რატომ აქვს ისინი. ლუკამ მოკლედ უპასუხა, რომ ეზოში თამაშის დროს წაიქცა. მწვრთნელი ლუკას სიტყვების სიმართლეში დაეჭვდა, რადგან სიღურჯები მას თითქმის მთელს ტანზე აღენიშნებოდა. ჩაეკითხა კიდევ, ვინმესთან ხომ არ იჩხუბა, თუმცა, ლუკამ ეს უარყო და ფეხბურთის მოედნისკენ გაიქცა. მწვრთნელი ამ თემაზე ლუკასთან საუბარს აღარ დაბრუნებია.

ორი კვირის შემდეგ, მწვრთნელმა ლუკას სხეულზე კვლავ შენიშნა ახალი სიღურჯები, ზოგიერთ ადგილას კი - ნაკაწრები. მას უსიამოვნო განცდა დაეუფლა, თუმცა, ჩათვალა, რომ ლუკა არც ახლა გადაუშლიდა გულს, ამიტომ არაფერი უკითხავს და გუნდის წვრთნა განაგრძო. სინამდვილეში, ლუკაზე მისი ოჯახის წევრი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მუდმივად ძალადობდა.

როგორ უნდა მოქცეულიყო მწვრთნელი?

მოსწავლეების პასუხების მოსმენის შემდეგ, პოლიციელი აჯამებს საკითხს:

ვინაიდან მწვრთნელს გაუჩნდა ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვი, იგი ვალდებული იყო ამ ეჭვის შესახებ ეცნობებინა პოლიციის ან სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, მიუხედავად იმისა, გაანდობდა თუ არა ლუკა ოჯახის წევრის მხრიდან მასზე ძალადობის ფაქტს.

ამასთანავე, მას უნდა მოეხდინა ლუკას ინფორმირება შეტყობინების გაკეთების გადაწყვეტილების შესახებ და განემარტა, რომ მისი, როგორც მასწავლებლის მოვალეობაა მოსწავლის ძალადობისგან დაცვა. ამას კი, შესაბამისი ორგანოების დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა. ასევე უნდა აეხსნა, რომ სოციალური მუშაკი და პოლიცია გადაწყვეტილებას მიიღებენ მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

სად დავრეკოთ?

მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ იმ ცხელი ხაზის ნომრები, რომელზეც შეგვიძლია გავაკეთოთ შეტყობინება ბავშვზე და ზოგადად, ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით:

15-05 - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზი;“

116-006 - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი;“

112 - საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერი.

6 მასწავლებელი სვამს კითხვას:

თქვენი აზრით, ვალდებულია თუ არა რიგითი მოქალაქე, გააკეთოს შეტყობინება ოჯახში ძალადობის, მათ შორის, ბავშვზე ძალადობის შემთხვევების შესახებ?

რამდენიმე მოსწავლის პასუხის მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი აჯამებს მათ მოსაზრებებს და ამბობს:

„ადამიანებს, რომლებიც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით გამოირჩევიან, წვლილი შეაქვთ იმ გარემოს გაუმჯობესებაში, რომელშიც თავად ცხოვრობენ. როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენს გარშემო ვინმე ცუდად გრძნობს თავს იმის გამო, რომ მასზე ძალადობენ, უნდა დავფიქრდეთ: რისი გაკეთება შეგვიძლია იმისათვის, რომ ეს შეწყდეს?“

ზოგჯერ, შეიძლება გავესაუბროთ ამ ადამიანს, გამოვხატოთ თანაგრძნობა, გავუზიაროთ ის ინფორმაცია, რომელიც დღეს მივიღეთ, ავუხსნათ, რომ სახელმწიფო იცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს და მას შეუძლია ისარგებლოს ამით.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი თქვენი თანატოლია, შეიძლება სკოლის პედაგოგს მიმართოთ დახმარებისთვის, რადგან მას კანონი ავალდებულებს, სათანადო ყურადღება გამოიჩინოს მსგავსი ფაქტების მიმართ. ასევე, შეგიძლიათ გაუზიაროთ ეს ამბავი თქვენს მშობლებს და ერთობლივად გააკეთოთ შეტყობინება. მოქალაქეთა მხრიდან ძალადობის მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობის გამოხატვამ და მის დასაცავად გადადგმულმა აქტიურმა ნაბიჯებმა შესაძლოა იგი სიკვდილის საფრთხისგანაც კი იხსნას.

7 ახლა კი, შეგიძლიათ გადაამოწმოთ აქტივობა 3-ში მოცემულ დებულებებზე თქვენი პასუხები (სლაიდი N38):

დებულების #	სწორი პასუხი
-------------	--------------

1	ა
2	ა
3	ა
4	ა
5	ბ
6	ბ
7	ა
8	ა
9	ა
10	ა

8 შეაჯამეთ თემა გაკვეთილის მთავარი გზავნილებით (სლაიდი #39):

- ა) უპატივცემულობა, უსამართლობა, დაუსაბუთებელი შეზღუდვები, ნებისმიერი სახის ძალადობრივი ურთიერთობა, არაჯანსაღ ურთიერთობას ნიშნავს და არ არის მისაღები;
- გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ყველა - ასაკის, სქესის, ეროვნების, განათლებისა თუ სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად;
- ბ) ბავშვის დაცვა მშობლებისა და ახლობლების გარდა, შეუძლია სახელმწიფოს.

აქტივობა 5 - უკუკავშირი

მიზანი: მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღება.

დრო: 5 წთ

ინსტრუქცია: სთხოვეთ მოზარდებს, უპასუხონ რამდენიმე კითხვას გაკვეთილის მიმდინარეობის შესახებ. აუხსენით, რომ პროგრამა შექმნილია მათთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია სწორედ მათი მოსაზრებები, რათა მომავალში გაითვალისწინოთ და საჭიროების შემთხვევაში, მასში სათანადო ცვლილებები შეიტანოთ.

გაკვეთილის შეფასების ფორმა:

დღევანდელი გაკვეთილის მიზანი იყო: -----

#	დებულება	ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები
1.	დღევანდელი გაკვეთილი საინტერესო იყო			
2.	მივიღე ახალი ინფორმაცია, რომელსაც გამოვიყენებ ცხოვრებაში			
3.	გაკვეთილზე მქონდა კითხვების დასმის შესაძლებლობა			
4.	გაკვეთილზე მქონდა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა			
5.	მიღებულ ცოდნას გავუზიარებ ჩემს მეგობრებს			
6.	მაქვს სურვილი დავესწრო შემდეგ გაკვეთილს			

გთხოვთ, გააკეთოთ მოკლე კომენტარი გაკვეთილთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. მაგალითად, რომელი აქტივობა მოგეწონათ ან არ მოგეწონათ ყველაზე მეტად? რა მთავარი დასკვნა გააკეთეთ გაკვეთილის შემდეგ? ხომ არ დაგრჩათ რაიმე კითხვა, რომელზეც პასუხი ვერ მიიღეთ?

სამუშაო ფურცელი 1

ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია:

1. გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ პოლიციას ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა დაზარალებულმა.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
2. გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ პოლიციას ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ძალადობის მოწმემ.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
3. განცალკევებულად გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
4. განცალკევებულად გამოკითხოს სავარაუდო მოძალადე.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი აუცილებლად გაიყვანოს საცხოვრებელი სახლიდან, თუ ეს სახლი მოძალადის საკუთრებაა.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
6. გააცნოს ან გადასცეს არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენება (გამოკითხვის ოქმი, ახსნა-განმარტება) მოძალადეს.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
7. საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლი დატოვოს საცხოვრებელ ადგილას, ხოლო მოძალადე გაიყვანოს (განარიდოს) ამ საცხოვრებელი სახლიდან მაშინვე კი, თუ სახლი მოძალადის საკუთრებაა.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
8. ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
9. მსხვერპლის მოთხოვნით, ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი და/ან არასრულწლოვნის გადაყვანა თავშესაფარში;
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე
10. გადაიყვანოს თავშესაფარში ძალადობის მოწმე, მისივე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
ა) სიმართლეა ბ) არ არის სიმართლე

დამატებითი აქტივობა 1. ძალადობის სახეები

დამატებითი დროის არსებობის შემთხვევაში, აქტივობა 2 შეგიძლიათ გახადოთ უფრო ინტერაქტიული.

მიზანი: მოსწავლეებისათვის ოჯახში ძალადობის ცნების განმარტება; ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის ფრაგმენტის გაცნობა.

დრო: 15 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

1 პირველი აქტივობის დასრულების შემდეგ, პოლიციელი მიმართავს მოსწავლეებს შემდეგი ტექსტით:

„ზოგჯერ, ოჯახური ურთიერთობები მკვეთრად განსხვავებულია იმისგან, რაზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება და ურთიერთპატივისცემის, ნდობის, სიყვარულის, ზრუნვის ნაცვლად, ადგილი აქვს ოჯახში ძალადობას - ისეთ ურთიერთობას, რომელიც ზიანის მომტანია ოჯახის რომელიმე წევრის ან წევრებისათვის.

ოჯახში ძალადობის დროს, ოჯახის ერთი წევრი ოჯახის სხვა წევრის ან წევრების მიმართ ახორციელებს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას:

- უყვირის, აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, უკრძალავს მეგობრებთან ან ნათესავებთან წასვლას ემუქრება, ამცირებს სხვების თანდასწრებით, მაგალითად, მოძალადე ქმარი აკრიტიკებს და დამამცირებელ ზედმეტსახელებს უწოდებს მეუღლეს შვილების, ნათესავების, მეგობრების, მეზობლებისა თუ უცხო ადამიანების თანდასწრებით; უწყებს ისეთ აკრძალვებს, რაც არ არის კავშირში ტრადიციებთან ან საზოგადოდ მიღებულ ნორმებთან და ერთი ადამიანის დაუსაბუთებელ პოზიციას გამოხატავს; საკუთარ შეცდომებზე სთხოვს პასუხს და თავს დამნაშავედ აგრძნობინებს და სხვ.

თქვენი აზრით, ძალადობის რა ფორმაზე/სახეზე შეიძლება მიუთითებდეს ამგვარი ქცევა?

პასუხების მიღების შემდეგ, კი ამბობს: ნებისმიერი სახის ქცევა, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას, ფსიქოლოგიურ ძალადობას ნიშნავს.

- ეხება ფიზიკურად - ხელს კრავს, ურტყამს, ესვრის ნივთებს, აქცევს იზოლაციაში და უკანონოდ აღუკვეთავს თავისუფლებას და სხვ. **თქვენი აზრით, ძალადობის რა ფორმაზე/სახეზე შეიძლება მიუთითებდეს ამგვარი ქცევა?**

პასუხების მიღების შემდეგ, კი ამბობს: ნებისმიერი სახის ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს, ტანჯვას, ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანებას, ფიზიკურ ძალადობას ნიშნავს.

- უკრძალავს გამოიყენოს ქონება, რომელიც მათ თანაბრად ეკუთვნით, უკრძალავს სამსახურის დაწყებას ან აიძულებს მიატოვოს სამსახური; აიძულებს აიღოს სესხი ბანკიდან, აღებულ თანხას კი, თავად იყენებს; ოჯახის ზრდასრულ წევრს უზღუდავს ოჯახის საერთო ბიუჯეტიდან ფულის დახარჯვას ან მკაცრად უკონტროლებს, რაში დახარჯა თითოეული თეთრი; უზღუდავს საკვების მიღებას, საცხოვრებლით სარგებლობას და სხვ. **თქვენი აზრით, ძალადობის რა ფორმაზე/სახეზე შეიძლება მიუთითებდეს ამგვარი ქცევა?**

პასუხების მიღების შემდეგ, კი ამზობს: ნებისმიერი სახის ქცევა, რომლითაც ხდება პიროვნების ეკონომიკური კეთილდღეობის შეზღუდვა მისი საკუთარი ან საერთო ფინანსების გაკონტროლების გზით, **ეკონომიკურ ძალადობას ნიშნავს.**

- ამყარებს სექსუალურ კავშირს ან ახორციელებს სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას ძალადობის, მუქარის ან უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. **თქვენი აზრით, ძალადობის რა ფორმაზე/სახეზე შეიძლება მიუთითებდეს ამგვარი ქცევა?**

პასუხების მიღების შემდეგ, კი ამზობს: ნებისმიერი სახის სექსუალური ქმედება, რომელიც ხორციელდება პიროვნების თანხმობის გარეშე, **სექსუალურ ძალადობას ნიშნავს.**

- აიძულებს შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა; მაგალითად, აიძულებს შეასრულოს სამუშაო, რომლის შესრულებაც მას არ სურს, ან ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას, ხოლო მუშაობის შედეგად მიღებულ გასამრჯელოს მოძალადე თავად ითვისებს; არასრულწლოვანს აიძულებს ქორწინებას, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას ან თანამონაწილეობას; აიძულებს ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკული ნივთიერებების ავად მოხმარებას, მოწყალების თხოვნას, წვრილმან ვაჭრობაში ჩართვას, რის გამოც მას ეზღუდება განათლების, ჯანსაღი ფიზიკური ან გონებრივი განვითარების შესაძლებლობა. **თქვენი აზრით, ძალადობის რა ფორმაზე/სახეზე შეიძლება მიუთითებდეს ამგვარი ქცევა?**

პასუხების მიღების შემდეგ, კი ამზობს: ნებისმიერი სახის ქმედება, რომლითაც ხდება პიროვნების იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, **იძულებას ნიშნავს.**

- დაუკმაყოფილებელს ტოვებს არასრულწლოვანი ოჯახის წევრის საბაზისო საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის ობიექტური მიზეზები არ გააჩნია. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მშობელმა/მეურვემ იცის, რომ აუცილებელია, ხელიც მიუწვდება და ფინანსური შესაძლებლობაც აქვს, მაინც არ ზრუნავს ბავშვის კვებაზე, მისი ტანსაცმლის ან ზოგადად, სხეულის სისუფთავეზე, არ ყიდულობს აუცილებელი მოხმარების საგნებს, არ ზრუნავს მის ჯანმრთელობაზე; გარდა ამისა, უზღუდავს განათლების უფლებას, არ იცავს საფრთხეებისგან, არ იჩენს სიყვარულს, არ ინტერესდება მისი ყოველდღიური ცხოვრებით, მუდმივად იშორებს თავიდან და სხვ. **თქვენი აზრით, ძალადობის რა ფორმაზე/სახეზე შეიძლება მიუთითებდეს ამგვარი ქცევა?**

პასუხების მიღების შემდეგ, კი ამზობს: როდესაც მუდმივად დაუკმაყოფილებელია ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებები და ამას მუდმივი ხასიათი აქვს, **უგულებელყოფას ნიშნავს.**

ქცევის ამგვარი ფორმების გამოვლინებას, კანონის თანახმად, **ოჯახში ძალადობა ეწოდება.**

როდესაც ადგილი აქვს ოჯახში ძალადობის რაიმე სახეს, საჭირო ხდება სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება და მსხვერპლის დაცვა მოძალადისგან.

ამიტომაც, არსებობს საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

ამ კანონის მიხედვით, **ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ითვლება ოჯახის ნებისმიერი წევრი:**

დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა,

მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე;
ოჯახში ძალადობაზე რეაგირების დროს, პოლიციაც სწორედ ამ კანონს ეყრდნობა.
განვიხილოთ, კონკრეტულად რისი გაკეთება ევალება პოლიციელს ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში.“

დამატებითი აქტივობა 2.

დამატებითი დროის არსებობის შემთხვევაში, აქტივობა 4-ის შემდეგ, აქტივობა 3-ში დასმულ კითხვებზე პასუხების გაცნობამდე, პოლიციელს/მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებისთვის შემდეგი აქტივობის შეთავაზება:

მიზანი: მოსწავლეებისათვის ოჯახში ძალადობის შესახებ რეალისტური წარმოდგენის შექმნა.

დრო: 15 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

1 პოლიციელი მოსწავლეებს ყოფს რამდენიმე ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ურიგებს თითო მწვანე და თითო წითელ ფურცელს და აძლევს შემდეგ **ინსტრუქციას:**

„წაიკითხეთ ეკრანზე მოცემული დებულება. რამდენიმე წამის განმავლობაში შეთანხმდით ერთმანეთთან, ეს დებულება მითია თუ რეალობა და აწიეთ შესაბამისი ფერის ფურცელი - წითელი ნიშნავს, რომ ესაა მითი (ან არ შეესაბამება სინამდვილეს), ხოლო მწვანე ნიშნავს, რომ ესაა რეალობა (ანუ, შეესაბამება სინამდვილეს). იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჯგუფს ერთ და იგივე მოსაზრება ექნებათ, ამ მოსაზრებას მოკლედ დაასაბუთებთ მხოლოდ ერთი ჯგუფი. შემდეგ დებულებასთან დაკავშირებით, მოსაზრებას დაასაბუთებთ სხვა ჯგუფი და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ მოსაზრებები გაიყოფა - ასაბუთებთ ერთი ჯგუფი და კონტრარგუმენტები მოჰყავს საწინააღმდეგო მოსაზრების მქონდე ჯგუფს.“

2 ამის შემდეგ, პოლიციელი ეკრანზე უჩვენებს ძალადობის შესახებ არსებულ რამდენიმე დებულებას და ბავშვების მიერ გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ, თავადაც მოკლედ აჯამებს მათ.

დებულება 1: თუ ოჯახს ბევრი შემოსავალი აქვს და ოჯახის წევრებს კარგი განათლება აქვთ მიღებული, მაშინ ამ ოჯახში ძალადობა არ ხდება.

პასუხი: მითია. ოჯახში ძალადობა შეიძლება მოხდეს ნებისმიერი შემოსავლისა და განათლების მქონე ოჯახებში.

დებულება 2: ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზია ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება.

პასუხი: მითია⁶. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ხდება, როდესაც ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების ქვეშ მყოფი პიროვნება ძალადობს ოჯახის წევრზე, არაა დადასტურებული პირდაპირი კავშირი ამ ორ მოვლენას შორის. შესაძლებელია, რომ პიროვნება, რომელიც იმყოფება ალკოჰოლის ან ნარკოტიკების გავლენის ქვეშ ძალადობდეს ოჯახის წევრებზე, თუმცა, არანაირ აგრესიას არ ავლენდეს სხვა ადამიანების (მეგობრების, მეზობლების) მიმართ იმავე მდგომარეობაში; და პირიქით, შესაძლებელია პიროვნება საერთოდ არ იყოს აღნიშნული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ მაინც ძალადობდეს ოჯახში.

დებულება 3. გარშემომყოფებმა იციან, რომ ამა თუ იმ ოჯახში ხდება ძალადობა და იციან, ვინ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.

პასუხი: რეალობაა. როგორც წესი, გარშემომყოფებმა - მეზობლებმა, ნათესავებმა იციან, რომ მათი მეზობელი, თუ ნათესავი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია, თუმცა, მსხვერპლი შეიძლება მალავდეს ამას.

დებულება 4. ის მოზარდები, რომლებიც იზრდებიან ოჯახებში სადაც ძალადობას აქვს ადგილი, მომავალში თავადაც მოძალადეები ან ძალადობის მსხვერპლნი გახდებიან.

პასუხი: მითია. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რისკის წინაშე ის ბავშვები უფრო მეტად იმყოფებიან, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ან მოწმეები არიან, მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როდესაც პირიქით, მომავალში ეს ბავშვები საუკეთესო მშობლები და მეუღლეები ხდებიან, რადგან კარგად აცნობიერებენ ძალადობის უარყოფით შედეგებს.

⁶ Keith C. Klostermann, William Fals-Stewart. "Intimate partner violence and alcohol use: Exploring the role of drinking in partner violence and its implications for intervention." 2006. ELSEVIER. Aggression and Violent Behavior, Volume 11, Issue 6, November-December 2006, Pages 587-597

დანართი 1. რამდენიმე მუხლი საქართველოს კონსტიტუციიდან

ზოგიერთი მუხლი (შემოკლებული სახით კონტექსტთან შესაბამისად) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავიდან „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.“

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. (27.12.2006 N4137)

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. (27.12.2006 N4137)

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.
2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. (15.10.2010. N3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)
3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.
4. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში. (15.10.2010. N3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

დანართი 2. შემაკავებელი ორდერი



დანართი 2.
შემაკავებელი ორდ

დანართი 3. დამატებითი ინფორმაცია პოლიციელისთვის/მასწავლებლისთვის - ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურები.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ სრული დოკუმენტი იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.



დანართი 3.
რეფერირების პრო

**დანართი 4. დამატებითი ინფორმაცია პოლიციელისთვის/მასწავლებლისთვის -
უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი სკოლაში.**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ.
2019 წლის 29 იანვარი. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.**



დანართი 4.
ბრძანება N06. ნ - უ

ტრეფიკინგი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეთა ინფორმირება ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მასთან ბრძოლის სახელმწიფო მექანიზმების შესახებ.

შედეგი: მოსწავლეებს ეცოდინებათ ტრეფიკინგის განმარტება და შესაბამისი კანონები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან; შემთხვევების განხილვის საფუძველზე შეძლებენ ტრეფიკინგის შემთხვევების ამოცნობას და გააკეთებენ დასკვნებს, თუ რისი გათვალისწინებაა საჭირო იმისათვის, რომ არ გავხდეთ ტრეფიკინგის მსხვერპლნი. სიტუაციის სწორად შეფასებას; ინფორმირებულნი იქნებიან იმის შესახებ, თუ საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში როგორ შეუძლია დაიცვას თქვენი უფლებები და დაგეხმაროთ პრობლემების მოგვარებაში საქართველოს საელჩოები ან საკონსულო დაწესებულებები.

დრო: 45 წუთი

საჭირო რესურსები: კომპიუტერი, პროექტორი, A4 ფორმატის ქაღალდი, ფლიპჩარტი, მარკერი.

მთავარი გზავნილები მოსწავლეებისთვის:

- ა) ტრეფიკინგი, ესაა 21-ე საუკუნის მონობა - პიროვნების იძულება, იცხოვროს პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში მისი ნების საწინააღმდეგოდ;
- ბ) ტრეფიკინგის დანაშაულს შეიძლება ჩადიოდეს როგორც პიროვნებისთვის სრულიად უცხო, ასევე ახლობელი ადამიანი;
- გ) პიროვნება შეიძლება იქცეს ტრეფიკინგის მსხვერპლად როგორც ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ასევე მის შიგნით.
- დ) ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, ადამიანები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი სამუშაოსა თუ მოგზაურობასთან დაკავშირებული პირობების შესახებ;
- ე) სახელმწიფო ებრძვის ტრეფიკინგს და ეხმარება ტრეფიკინგის მსხვერპლ მოქალაქეებს.

აქტივობა 1 - რას ნიშნავს ტრეფიკინგი?

მიზანი: მოსწავლეებისთვის ტრეფიკინგის მნიშვნელობის განმარტება და გაკვეთილის მიზნების გაცნობა.

დრო: 10 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

- 1** პოლიციელი იყენებს გონებრივ იერიშის მეთოდს და უსვამს კითხვას მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს ტრეფიკინგი (*სლაიდი #2*).
- 2** პოლიციელი ფლიპჩარტზე ან დაფაზე ჩამოწერს მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, მოკლედ აჯამებს მათ და აკეთებს ტრეფიკინგის განმარტებას სისხლის სამართლის 143¹ მუხლის მიხედვით მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე⁷ (*სლაიდები #3-5*).


⁷ ტრეფიკინგთან დაკავშირებული მუხლების სრული ვერსიები შეგიძლიათ იხილოთ დანართში 2.

„ტრეფიკინგი ეს არის მონობის თანამედროვე ფორმა - ადამიანებით ვაჭრობა 21-ე საუკუნეში. ტრეფიკინგი მსხვერპლს უზღუდავს თავისუფლებას და აიძულებს იცხოვროს პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში მისი ნების საწინააღმდეგოდ. მას, ვინც ტრეფიკინგს ეწევა, ტრეფიკორი ეწოდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის მიხედვით:

აღნიშნული დანაშაული მოიცავს პირის ძალისმიერი, მოტყუებითი ან იძულების სხვა საშუალებებით გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას ექსპლუატაციის მიზნით, რომელშიც მოიაზრება როგორც კომერციულ-სექსუალური, ასევე შრომითი ექსპლუატაცია.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დანაშაულია არა მხოლოდ ექსპლუატაციის უკვე დამდგარი შემთხვევა, არამედ ექსპლუატაციის მიზნით პირის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება, თუნდაც რეალურად ექსპლუატაციის გაწევას რაიმე მიზეზით (პოლიციის რეაგირება, მსხვერპლის მიერ ტრეფიკორისგან თავის დაღწევა და სხვ.) ხელი შეეშალოს.



ექსპლუატაცია ნიშნავს სხვა ადამიანის შესაძლებლობების, თვისებების ან მისი მდგომარეობის უსამართლო, საკუთარი ინტერესების შესაბამისად და/ან მოგების მიღების მიზნით გამოყენებას⁸.

მაგალითად, ტრეფიკიორი შეიძლება პიროვნებას აიძულებდეს რაიმე ტიპის სამუშაოს შესრულებას, ამ სამუშაოს შესრულებაში უხდიდეს მიზერულ თანხას ან საერთოდ არ უხდიდეს, სამაგიეროდ კი, მის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად თავად ნახულობდეს სარგებელს. ეს სწორედ შრომით ექსპლუატაციას ნიშნავს (სლაიდი #6).

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ოჯახი შრომით ექსპლუატაციას უწევს თავისივე ოჯახის წევრს. მაგალითად, ზოგჯერ, ოჯახის რომელიმე წევრი მხოლოდ იმ მიზნით ქორწინდება (ხშირად, არასრულწლოვანზე), რომ იგი ოჯახში დამატებით მუშახელად გამოიყენოს.

3 ამის შემდეგ, პოლიციელი მიმართავს მოსწავლეებს (სლაიდი #7):

როგორც ალბათ უკვე მიხვდით, ჩვენი დღევანდელი საგაკვეთილო თემაა ტრეფიკინგი და ამ გაკვეთილის მიზანია, მოგაწოდოთ ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულისა და მასთან ბრძოლის სახელმწიფო მექანიზმების შესახებ.

აქტივობა 2 - ტრეფიკინგის სახეები

მიზანი: შემთხვევების განხილვა მოსწავლეთათვის ტრეფიკინგის სახეების გაცნობის მიზნით.

დრო: 15 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისა და მასწავლებლისთვის:

1 მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს სამ ჯგუფად იმის მიხედვით, ვინც უფრო ახლოს ზის ერთმანეთთან, თითოეულ ჯგუფს ურიგებს ტრეფიკინგთან დაკავშირებულ თითო შემთხვევას (**იხ. სამუშაო ფურცლები 1**) და სთხოვს მათ, წაიკითხონ შემთხვევები და მოამზადონ პასუხები შემთხვევების ბოლოს დასმულ კითხვებზე (**სლაიდი #8**).

2 მოსწავლეები განიხილავენ შემთხვევებს და აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებას კითხვებზე პასუხების გაცემის გზით.

3 სამუშაოს დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფიდან ერთი მონაწილე კითხულობს შემთხვევას, ხოლო ჯგუფის დანარჩენი წევრები მოკლედ უზიარებენ კლასს ჯგუფის მოსაზრებას მასთან დაკავშირებით.

პოლიციელი და მასწავლებელი ეხმარებიან მოსწავლეებს, მივიდნენ სწორ პასუხებამდე.

პასუხები შემთხვევებთან დაკავშირებულ კითხვებზე:

შემთხვევა 1.

- **არის თუ არა ეს ტრეფიკინგის შემთხვევა?** - არის. რადგან ანის მისი ნების წინააღმდეგ უწევს შრომა და მისი შრომის სანაცვლოდ სარგებელს სხვები ღებულობენ.

⁸ სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4178>

- ვინ არის ტრეფიკიორი? - ანის დედა და მისი მეზობელი. ანის დედა მეზობლისგან იღებს ფულს შვილის შრომის სანაცვლოდ.
- რა რისკებთან არის დაკავშირებული ანისთვის აღნიშნული ვითარება? - განათლების მიღების გარეშე დარჩენა; ჯანმრთელობის დაზიანება; სხვა ადამიანების მხრიდან ძალადობის მსხვერპლად ქცევა და სხვ.
- რას შეიძლება გრძნობდეს ანი? - უსუსურობას, დაღლილობას, იმედგაცრუებას, დამცირებას, შიშს, და ა.შ.
- ვის შეუძლია მისთვის დახმარების გაწევა? - სახელმწიფო უწყებებს: მეურვეობა-მზრუნველობის სააგენტოს, პოლიციას და ა.შ. ასევე, მეზობლებს, ახლობლებს, იმ უცხო ადამიანებს, რომლებიც ხედავენ, რომ გოგონა ქუჩაში ნივთებს ყიდის იმ დროს, როცა ის სკოლაში უნდა იყოს, შეუძლიათ შეტყობინების გაკეთება პოლიციაში ან სოციალური მომსახურების სააგენტოში.

შემთხვევა 2.

- არის თუ არა ეს ტრეფიკინიგს შემთხვევა? - არის.
- ვინ არის ტრეფიკიორი? - ოჯახი, რომელიც თემურს ამუშავებს და შესაძლოა ოჯახის ახლობელიც, რომელმაც იგი აღნიშნულ ოჯახს დააკავშირა.
- რა უნდა გაეთვალისწინებინა წინასწარ თემურს და მის დედას, ვიდრე სამუშაოს დათანხმდებოდნენ? - უნდა მოეთხოვათ შრომითი ხელშეკრულება და წინასწარ გაცნობოდნენ სამუშაო პირობებს; სამწუხაროდ, ისინი ბრმად ენდნენ ახლობელს და შედეგად თემური ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდა საკუთარ ქვეყანაში.
- რას შეიძლება გრძნობდეს თემური? - უსუსურობას, შიშს, იმედგაცრუებას, სიბრაზეს, ოჯახის მონატრებას და სხვ.

შემთხვევა 3.

- არის თუ არა ეს ტრეფიკინიგს შემთხვევა? - ვინაიდან შედეგი ჯერ არ დამდგარა, ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება ითქვას, რომ არის, თუმცა, იკვეთება ტრეფიკინგის ნიშნები - უცხო ოჯახი ნინოს სანაცვლოდ დიდ თანხს იხდის, მშობლებმა კი, ნინო სკოლიდან გამოიყვანეს და მის გასამგზავრებლად მზადებას შეუდგნენ.
- ვინ არის ტრეფიკიორი? - სავარაუდოდ, ის ადამიანები, რომლებიც ნინოს თითქოსდა გათხოვების სანაცვლოდ, მის ოჯახს ფულს სთავაზობენ; ასევე, ნინოს მშობლებიც ითვლებიან ტრეფიკინგის ხელშემწყობად, რადგან ისინი ფულს იღებენ შვილის სანაცვლოდ და მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, სად და რა პირობებში უნდა გააგრძელოს ნინომ ცხოვრება.
- რისი გაკეთება შეუძლია ნინოს? - შეუძლია მიმართოს პოლიციას, მეურვეობა-მზრუნველობის სააგენტოს სოციალურ მუშაკს ან მისთვის სანდო ადამიანებს - მასწავლებელს, ნათესავს, რომლებიც მისი უფლებების დაცვას შეძლებენ (აუხსენით მოსწავლეებს, რომ გაკვეთილის განმავლობაში მიიღებენ ინფორმაციას შესაბამისი სამსახურებისა და ცხელი ხაზის ნომრების შესახებ).
- რას შეიძლება გრძნობდეს ნინო? - უსუსურობას, შიშს, იმედგაცრუებას და სხვ.

აქტივობა 3 - ტრეფიკინგი და კანონი

მიზანი: მოსწავლეთა ინფორმირება შემდეგი საკითხების შესახებ:

- ტრეფიკინგთან დაკავშირებული კანონები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან;
- ტრეფიკინგთან ბრძოლის საქართველოში არსებული სამსახურები;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება - თავშესაფარი;
- ტრეფიკინგთან ბრძოლის სამსახურების ცხელი ხაზის ნომრები;

დრო: 15 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

1 მოსწავლეთა პერზენტაციების დასრულების შემდეგ, პოლიციელი აცნობს მოსწავლეებს აქტივობის მიზნებს (სლაიდი #9) და ამახვილებს მათ ყურადღებას შემდეგზე (სლაიდი #10):

„სამივე შემთხვევა უკავშირდება ტრეფიკინგს. პირველი ორი, შრომით ექსპლუატაციას ეხება. ტრეფიკიორი ანის შემთხვევაში თავად მისი მშობელი და მეზობელი არიან; თემურს შრომით ექსპლუატაციას უცნობი დამსაქმებლები უწევენ და ეს ფაქტი ქვეყნის შიგნითვე ხორციელდება; რაც შეეხება, ნინოს, იკვთება მისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ექსპლუატაციის საფრთხე და სავარაუდოდ, ეს იქნება სექსუალური ექსპლუატაცია, რადგან ბუნდოვანებითაა მოცული თითქოსდა გათხოვების ისტორია.

სახელმწიფო ებრძვის ტრეფიკინგს და იცავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებს სხვადასხვა სამსახურების დახმარებით. ეს შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

2 პოლიციელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ გაკვეთილის ბოლოს მათ დაურიგებს „საინფორმაციო ფურცლებს“, სადაც მოცემულია ინფორმაცია საქართველოში არსებულ ტრეფიკინგთან ბრძოლის სამსახურების შესახებ (იხ. დანართი 1).

3 პოლიციელი აგრძელებს საუბარს პოლიციის როლზე ტრეფიკინგთან ბრძოლაში (სლაიდი #11):

„დავიწყოთ იქიდან, რომ პოლიცია როგორც ყოველთვის, კანონის ფარგლებში მოქმედებს და ამჯერადაც ეყრდნობა სისხლის სამართლის სამ მუხლს, რომელიც კონკრეტულად ტრეფიკინგს ეხება.

ეს მუხლებია:

143¹ – ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით საშუალოდ, **7-დან 20 წლამდე** (დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. მაგ. ყველაზე მძიმე შემთხვევაში, სასჯელის ზომა შეიძლება განისაზღვროდეს თავისუფლების აღკვეთით ვადით **15-დან 20 წლამდე**), თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით **სამ წლამდე**.

143². არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით საშუალოდ, **8-დან 20 წლამდე** (დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. მაგ. ყველაზე მძიმე

შემთხვევაში, სასჯელის ზომა შეიძლება განისაზღვროდეს 17-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით), თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

143³. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა

ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 15 წლამდე (დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. მაგ. ყველაზე მძიმე შემთხვევაში, სასჯელის ზომა შეიძლება განისაზღვროდეს თავისუფლების აღკვეთით ვადით 12-დან 15 წლამდე), თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მაგალითად, მუხლი 143³-ის თანახმად, თუ მოქალაქემ იცის, რომ კონკრეტული ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლია და მაინც ამუშავებს მას საკუთარ სახლში მშენებლობაზე, ეს ნიშნავს, რომ ის სარგებლობს ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით; შესაბამისად, ის ამ დანაშაულის თანამონაწილეა და სასჯელიც ემუქრება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან 143³ მუხლს დაემატა წამახალისებელი დებულება - თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით მოსარგებლე პირი შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების დაწყებამდე შეატყობინებს მომსახურებით სარგებლობის ფაქტს და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, იგი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ზემოთაღნიშნული მაგალითის შემთხვევაში, თუ ის პიროვნება, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლს საკუთარ სახლში მშენებლობაზე ამუშავებდა, აღიარებს ამ ფაქტს და შეატყობინებს საგამოძიებო ორგანოებს, მას აღარ დაემუქრება სისხლისსამართლებრივი სასჯელი. ხოლო, თუ გამოძიება დაადგენს, რომ გარდა ამ ფაქტისა, ეს პიროვნება მაგალითად, ხელს უწყობდა ტრეფიკიორებს მსხვერპლთა გადამალვაში, მაშინ მას მოუწევს პასუხისგება კანონის წინაშე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თანაბრად დასჯადია ადამიანით ვაჭრობა როგორც შრომით, ასევე სექსუალური ექსპლუატაციისათვის, მიუხედავად იმისა, ეს დანაშაული ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე თუ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ⁹.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიცია იღებს ინფორმაციას ტრეფიკინგის შესახებ, იწყება გამოძიება და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, რომლის დროსაც, შესაძლოა პოლიციელს მოუწიოს კონკრეტული ადამიანების - როგორც სავარაუდო მსხვერპლის, ასევე, ეჭვმიტანილის - დაკითხვა, ან პირდაპირ დაპატიმრება, შესაბამისი ორდერის არსებობის შემთხვევაში.

⁹ <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/343>

იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას მიენიჭება ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი¹⁰, მას შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისებით, მათ შორის, მიიღოს კომპენსაცია¹¹.

4 ინსტრუქცია მასწავლებლისთვის (სლაიდები #12-16):

„იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მათ დასახმარებლად ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფონდთან შექმნილია თავშესაფარი. თავშესაფარში ტრეფიკინგის მსხვერპლს, დაზარალებულს საჭირო დახმარებას უწევს (ფსიქოლოგიურ დახმარებას, სამედიცინო დახმარება და სხვ.), რათა გაუმკლავდნენ გადატანილ მძიმე გამოცდილებას და შეძლონ ცხოვრების გაგრძელება საკუთარ ოჯახებსა და საზოგადოებაში.

თავშესაფარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის მოთავსება ხდება მხოლოდ მისი თანხმობის საფუძველზე.

თავშესაფარი დაზარალებულებს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

1. უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი სათანდო პირობებით;
2. კვება და ტანსაცმელი;
3. სამედიცინო დახმარება;
4. ფსიქოლოგიური კონსულტაცია;
5. იურიდიული დახმარება და სასამართლოში წარმომადგენლობა;
6. რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებში მონაწილეობა”.

ყოველი ინდივიდუალური შემთხვევა განსხვავებული ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული და ინდივიდუალური ადამიანის ისტორიას უკავშირდებოდეს, თუმცა, არსებობს ზოგადი ფაქტორების ჩამონათვალი, რომელიც ხელს უწყობს ტრეფიკინგის ზრდას. ესენია:

- **ეკონომიკური პრობლემები;**

¹⁰ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლის დასახმარებლად შეიძლება გამოძახებულ იქნას ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფონდის მობილური ჯგუფი. მობილური ჯგუფი უზრუნველყოფს ტრეფიკინგის მსხვერპლის გამოკითხვას ანონიმურად და გამოკითხვის შედეგებს წარუდგენს საკოორდინაციო საბჭოსთან¹⁰ შექმნილ მუდმივმოქმედ ჯგუფს¹⁰, რომელიც გადაწყვეტს პირი არის თუ არა ტრეფიკინგის მსხვერპლი. **საკოორდინაციო საბჭო** შექმნილია საქართველოს მთავრობის მიერ და მის მიზანს წარმოადგენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელება; დეტალური ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი ჯგუფი**, რომელიც კოორდინაციას უწევს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ოპერატიულ-სამშენებრო და საგამომიებო მოქმედებების განხორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

¹¹ „ტრეფიკინგთან ბრძოლა,“ 2014. დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს შშს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ.

- უმუშევრობა;
- არაინფორმირებულობა;
- უკეთესი ცხოვრების პირობების ძიება;
- მოზარდის შემთხვევაში - სახლიდან გაქცევა;
- ოჯახში ძალადობა - რაც გულისხმობს იმას, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები მიდიან სახლიდან და იწყებენ სამსახურის ძებნას¹² და სხვ.

თითოეული მოქალაქე უნდა ფლობდეს ინფორმაციას შემდეგი სამსახურების ცხელი ხაზის ნომრების შესახებ:

112 - უფასო ცხელი ხაზი 24 საათის განმავლობაში.

32 2 411 714 - ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ცხელი ხაზი.

32 2 100 229 - ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზი. ვებგვერდი: <http://www.atipfund.gov.ge>

5 შეაჯამეთ თემა მთავარი გზავნილებით:

- ა) ტრეფიკინგი, ესაა 21-ე საუკუნის მონობა - პიროვნების იძულება, იცხოვროს პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში მისი ნების საწინააღმდეგოდ;
- ბ) ტრეფიკინგის დანაშაულს შეიძლება ჩადიოდეს როგორც პიროვნებისთვის სრულიად უცხო, ასევე ახლობელი ადამიანი;
- გ) პიროვნება შეიძლება იქცეს ტრეფიკინგის მსხვერპლად როგორც ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ასევე მის შიგნით.
- დ) ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, ადამიანები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი სამუშაოსა თუ მოგზაურობასთან დაკავშირებული პირობების შესახებ;
- ე) სახელმწიფო ებრძვის ტრეფიკინგს და ეხმარება ტრეფიკინგის მსხვერპლ მოქალაქეებს.

აქტივობა 4 - უკუკავშირი

მიზანი: მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღება.

დრო: 5 წთ

ინსტრუქცია: სთხოვეთ მოზარდებს, უპასუხონ რამდენიმე კითხვას გაკვეთილის მიმდინარეობის შესახებ. აუხსენით, რომ პროგრამა შექმნილია მათთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია სწორედ მათი მოსაზრებები, რათა მომავალში გაითვალისწინოთ და საჭიროების შემთხვევაში, მასში სათანადო ცვლილებები შეიტანოთ.

გაკვეთილის შეფასების ფორმა:

¹² Minnesota Advocates for Human Rights, 2000. "Trafficking in Women: Moldova and Ukraine."

დღევანდელი გაკვეთილის მიზანი იყო: -----

#	დებულება	ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები
1.	დღევანდელი გაკვეთილი საინტერესო იყო			
2.	მივიღე ახალი ინფორმაცია, რომელსაც გამოვიყენებ ცხოვრებაში			
3.	გაკვეთილზე მქონდა კითხვების დასმის შესაძლებლობა			
4.	გაკვეთილზე მქონდა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა			
5.	მიღებულ ცოდნას გავუზიარებ ჩემს მეგობრებს			
6.	მაქვს სურვილი დავესწრო შემდეგ გაკვეთილს			

გთხოვთ, გააკეთოთ მოკლე კომენტარი გაკვეთილთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. მაგალითად, რომელი აქტივობა მოგეწონათ ან არ მოგეწონათ ყველაზე მეტად? რა მთავარი დასკვნა გააკეთეთ გაკვეთილის შემდეგ? ხომ არ დაგრჩათ რაიმე კითხვა, რომელზეც პასუხი ვერ მიიღეთ? ----

სამუშაო ფურცლები 1

შემთხვევა 1.

12 წლის ანი თვეში 2-3 კვირის განმავლობაში მეზობელს სოფლიდან რაიონში მიჰყავს და ქუჩაში ერთად ყიდის წვრილმან ნივთებს. ანის ხშირად არ სურს სახლიდან წასვლა, თუმცა, დედა არწმუნებს, რომ ამის გაკეთება მისი მოვალეობაა. მეზობელი ანის დედასთან შეთანხმებულია და რაიონში ანის წყევანის სანაცვლოდ ყოველ ჯერზე მას (ანის დედას) გარკვეულ თანხას უხდის. ანი ნივთების გაყიდვით შეგროვილ თანხას მთლიანად მეზობელს აძლევს. ისეთ დღეებში, როდესაც გოგონა კარგად ვერ ივაჭრებს, მეზობელი მას ეჩხუბება.

კითხვები განხილვისათვის:

არის თუ არა ეს ტრეფიკინიგს შემთხვევა?

ვინ არის ტრეფიკიორი?

რა რისკებთან არის დაკავშირებული ანისთვის ეს?

რას შეიძლება გრძნობდეს ანი?

ვის შეუძლება მისთვის დახმარების გაწევა?

შემთხვევა 2.

16 წლის თემური დედასთან და 9 წლის დასთან ერთად ცხოვრობს. ნაცნობი ოჯახს დაჰპირდა, რომ მათ წვრილ ბიზნესმენებს გააცნობს, რომლებიც სეზონურ სამუშაოზე წაიყვანენ და კარგ ანაზღაურებასაც მისცემენ. ოჯახი გაჭირვებაშია და ამ შეთავაზებას დაეთანხმა, თუმცა, მოულოდნელად, თემურის დედა ავად გახდა და ამიტომ თემურს მოუწია მარტო გაჰყოლოდა ნაცნობს მისი სოფლიდან მოშორებულ სოფელში სამუშაოდ.

თემურმა მართლაც დაიწყო მუშაობა ერთ-ერთ ოჯახში დამხმარედ, მაგრამ იგი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ოჯახმა მას დაპირებული ხელფასის გადახდაზე უარი განუცხადა. ამის გამო, თემურმა სამუშაოდან წამოსვლა და სახლში დაბრუნება დააპირა, მაგრამ იგი იძულებით უკან დააბრუნეს და სამუშაოს გაგრძელება მოსთხოვეს.

კითხვები განხილვისათვის:

არის თუ არა ეს ტრეფიკინიგს შემთხვევა?

ვინ არის ტრეფიკიორი?

რა უნდა გაეთვალისწინებინა წინასწარ თემურს და მის დედას, ვიდრე სამუშაოს დათანხმდებოდნენ?

რას შეიძლება გრძნობდეს თემური?

შემთხვევა 3

ნინო 14 წლისაა. მისი ოჯახი მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდის. მშობლებმა მისი გათხოვება გადაწყვიტეს მოსაზღვრე ქვეყანაში მცხოვრებ ახალგაზრდაზე, რომელიც ეკონომიკურად ძლიერი ოჯახიდანაა. ნინოს სანაცვლოდ, ახალგაზრდის ოჯახი ნინოს მშობლებს დიდი თანხის გადახდას დაჰპირდა. ნინო მშობლებმა სკოლიდან გამოიყვანეს და მის გასამგზავრებლად მზადებას შეუდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ სად და რა პირობებში უნდა იცხოვროს ნინომ.

ნინო გათხოვების წინააღმდეგია, რადგან სკოლაში სწავლის გაგერძელება სურს და თანაც, არ უნდა უცხო ადამიანებთან ცხოვრება, მაგრამ მის აზრს ოჯახში არავინ ითვალისწინებს.

კითხვები განხილვისათვის:

არის თუ არა ეს ტრეფიკინიგს შემთხვევა?

ვინ არის ტრეფიკიორი?

რისი გაკეთება შეუძლია ნინოს?

რას შეიძლება გრძნობდეს ნინო?

დამატებითი აქტივობა - რჩევები საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით

დამატებითი დროის არსებობის შემთხვევაში, აქტივობა 3-ის შემდეგ, პოლიციელს/მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებისთვის დამატებითი აქტივობის შეთავაზება:

მიზანი: მოსწავლეთათვის რჩევების მიცემა საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

დრო: 20 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის:

1 გაკვეთილის დასასრულისთვის, პოლიციელი აღნიშნავს:

„როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ადამიანი შეიძლება გახდეს ტყუილის და შესაბამისად, ტრეფიკინგის მსხვერპლი. ტრეფიკინგის შემთხვევათა რისკი შეიძლება გაიზარდოს, როდესაც პიროვნება გადაწყვეტს საზღვარგარეთ გამგზავრებას და დახმარებისთვის მიმართავს სხვას. ტრეფიკინგის ან სხვა უსიამოვნებებისთვის თავის არიდების მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა უნდა გავითვალისწინოთ საზღვარგარეთ გამგზავრების დროს.

მე წაგიკითხავთ ერთ-ერთ შემთხვევას, თქვენ კი, დაფიქრდით და პასუხი გაეცით კითხვას, რომელსაც დაგისვამთ:

თამარი შუახნის ქალბატონია, რომელიც ნაცნობმა ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში სამუშაოდ წაიყვანა. ქვეყანაში ჩასვლისთანავე მან თამარს პასპორტი გამოართვა. მისი სიტყვებით, თამარის პასპორტი მას დამსაქმებელთან წარსადგენად სჭირდებოდა. თამარმა მართლაც დაიწყო ქალაქგარეთ მცირე საწარმოში მუშაობა, თუმცა, მალე აღმოაჩინა, რომ ამ სამუშაოს პირობები სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მისი ნაცნობი და დამსაქმებელი მუშაობის დაწყებამდე დაჰპირდნენ. თამარმა გადაწყვიტა მძიმე შრომაზე უარი ეთქვა და იმავე ქვეყნის დედაქალაქში დაბრუნება მოისურვა, რათა მის სხვა ნაცნობებს დაკავშირებოდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან დამსაქმებელმა და მისმა ნაცნობმა პასპორტის დაბრუნებაზე უარი განუცხადეს, არც საწარმოს დატოვების უფლება მისცეს, თვის ბოლოს კი, მიზეზული, ძალიან მცირე ანაზღაურება მისცეს.

ამ პირობებში თამარმა სამი თვე გაატარა, რის შემდეგაც მან მოახერხა გაქცევა და დედაქალაქში ჩასვლა. თუმცა, თამარმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ვისთვის მიემართა, რომ ღამე უსაფრთხო თავშესაფარში გაეთენებინა და ხელახლა არ გამხდარიყო ამჯერად უცხო ადამიანებისგან ტრეფიკინგის მსხვერპლი.

თქვენი აზრით, რა ინფორმაცია უნდა ჰქონოდა თამარს თავიდანვე და როგორ უნდა მოქცეულიყო ის, იმისათვის, რომ არ გამხდარიყო ტრეფიკინგის მსხვერპლი?

მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, პოლიციელი, კი აძლევს მათ პოზიტიური უკუკავშირს და საკითხს აჯამებს:

„საინტერესოა თქვენი მოსაზრებები. ჩანს, რომ თქვენ ჩართულები და აქტიურები იყავით გაკვეთილის პროცესში. ამ კითხვაზე პასუხის შეჯამებისათვის კარგი იქნება, გავცნოთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილ ბროშურას და რჩევებს, რომლებსაც ამობეჭდილი სახით გაკვეთილის შემდეგ ყველას დაგირიგებთ. თუმცა, ამ ინფორმაციის გაცნობამდე, აქვე დავამატოთ, რომ შრომითი ექსპლუატაციის მრავალი ფორმა არსებობს; მსოფლიოს მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, შრომითი ექსპლუატაციის ყველაზე გავრცელებული ფორმებია, შრომა¹³:

¹³ Counter-trafficking Training modules. Irish Government

სასოფლო მეურნეობაში	თევზჭერის სფეროში	ოჯახებში	კრიმინალურ სფეროში - შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობა, არაკანონიერი პროდუქციის წარმოება/გადატანა
პლანტაციებში	წარმოების სფეროში, სადაც მიზერულ ხელფასს იხდიან	ქუჩაში მათხოვრობა	- იძულებით ქორწინებაში
მაღაროში	კვების სფეროში	ქუჩაში - ნივთების გაყიდვა	არალეგალურ შვილობილობაში

რჩევები საზღვარგარეთ წასვლის მსურველთათვის¹⁴:

„თუ თქვენ აპირებთ წასვლას საზღვარგარეთ, ნუ ჩაიდებთ თავს საფრთხეში. დაიცავით საფრთხეების ზომები და გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა არ გახდეთ ტრეფიკინგის მსხვერპლი.

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ სხვა ქვეყანაში გამგზავრება, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

ბრმად ნუ ენდობით დაპირებებს უცხოეთში სწავლასთან, მუშაობასთან და დასვენებასთან დაკავშირებით. ნუ ენდობით პირებს, რომელიც გპირდებიან ვიზით უზრუნველყოფას საკონსულოში თქვენი პირადად გამოცხადების გარეშე. ნუ ანდობთ მათ თქვენს პასპორტს და სხვა პირად დოკუმენტებს.

გახსოვდეთ, რომ უცხოეთში არალეგალური გზით გამგზავრება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და სერიოზულ რისკთან არის დაკავშირებული.

ნუ გადასცემთ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს სხვას.

წინასწარ გადაამოწმეთ დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია.

მოითხოვეთ თქვენი დამსაქმებლის ან სასწავლებლის საკონტაქტო მონაცემები.

არ დათანხმდეთ შრომით ურთიერთობაში შესვლას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. თუ თქვენ განზრახული გაქვთ საზღვარგარეთ სამუშაო მიზნით გამგზავრება/ყოფნა, გახსოვდეთ, რომ თქვენი კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვას მხოლოდ შრომითი კონტრაქტის საფუძველზე შეძლებთ.

გახსოვდეთ!

დანომუნულების სახელმწიფოში ჩასვლისთანავე დაუყოვნებლივ აცნობებთ საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულებას თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ და დადექით საკონსულო აღრიცხვაზე.

თუ თქვენ ტრეფიკინგის მსხვერპლი ხართ და საჭიროებთ დახმარებას, მიმართეთ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებებს,

¹⁴ <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/Trafficking.aspx>

რომელიც დაიცავს თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სიცოცხლეს, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში და უზრუნველყოფს თქვენს უსაფრთხო დაბრუნებას სამშობლოში.

თუ თქვენ იმყოფებით ქვეყანაში, სადაც არ არის საქართველოს საელჩო ან საკონსულო დაწესებულება, თქვენ უნდა მიმართოთ ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს ან დაუკავშირდეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს:

ცხელი ხაზი +(995 32) 294 50 50; +(995) 577 98 40 20;

ელექტრონული ფოსტა: consulinfo@mfa.gov.ge

ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებული პირი სარგებლობს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობით, სარგებლობს სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა სახის დახმარებით.“

იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყანაში ტრეფიკინგის მსხვერპლი ხართ, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა მოახერხეთ, თუმცა, არ გაქვთ ინფორმაცია იმ ქვეყანაში საქართველოს საელჩოს ან საკონსულოს შესახებ, დასახმარებლად მიმართეთ პოლიციელს, რომლის ამოცნობაც პოლიციელის სპეციალური ჩცმულობით არის შესაძლებელი.

ბროშურა.



**ბროშურა -
ტრეფიკინგი (საგა)**

დანართი 1 - ტრეფიკინგთან ბრძოლის სამსახურები

საქართველოში არსებული ტრეფიკინგთან ბრძოლის სამსახურები:

- **შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი** - დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ტრეფიკინგის, არალეგალური მიგრაციის, ნარკომანიისა და საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა; კიბერდანაშაულის გამომიება და სხვა.
- **შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი** - მოქმედებს ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებით მოვაჭრეთა იდენტიფიკაციის დადგენასა და მათ შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას.
- **მიგრაციის დეპარტამენტი** - კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყნის შიგნით კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა აღმოჩენისა და იდენტიფიცირების უზრუნველყოფა; კანონმდებლობით დადგენილი წესით კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა გაძევების განხორციელება; „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.
- **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო.** საბჭო ორ წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. ეროვნული სამოქმედო გეგმა გულისხმობს:
 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციას;
 2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვას;
 3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიან სისხლისსამართლებრივ დევნას;
 4. თანამშრომლობას.
- **შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი** - ორმხრივი თანამშრომლობის განყოფილება და სუამ-ის განყოფილება, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უსაფრთხო ქსელებით უზრუნველყოფენ ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას შესაბამის ქვეყნებთან.
- **შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი** - ორმხრივი თანამშრომლობის განყოფილება და სუამის განყოფილება¹⁵, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უსაფრთხო ქსელებით უზრუნველყოფენ ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას შესაბამის ქვეყნებთან¹⁶.

¹⁵ სუამ-ი ეს არის ოთხი ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდავეთი) რეგიონალური კავშირი, რომლის შექმნის პროცესი დაიწყო 1997 წელს. წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.

¹⁶ პრევენტაციაში წარმოდგენილია საფოსტო მარკა - სუამის სამიტი, 22-23 მაისი, 2006, კიევი.

გარდა ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე შექმნილია ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ემსახურება ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებასა და დაცვას. ფონდის ფუნქციებში ასევე შედის მსხვერპლთა თავშესაფრითა¹⁷ და შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფა¹⁸.

¹⁷ თავშესაფრების ადგილმდებარეობით მოსწავლეთა დაინტერესების შემთხვევაში მათ უნდა განემრტოთ, რომ ეს ინფორმაცია მკაცრად გასაიდუმლოებულია მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

¹⁸ <http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba>

დანართი 2 - ტრეფიკინგთან დაკავშირებული კანონმდებლობა

მუხლი 143¹. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
- ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
- გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) არაერთგზის;
- ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
- დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
- ე) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

- ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა:

- 1. კოდექსის ამ და 143² მუხლების მიზნებისათვის ექსპლუატაციად მიიჩნევა დამნაშავეს მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით:
 - ა) შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება;

- ბ) სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება;
- გ) პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა;
- დ) ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება;
- ე) ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო.

პირზე დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს, მათ შორის:

- ე.ა) პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, კონტროლით ან განზრახ ხელყოფით;
 - ე.ბ) თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან თავისუფალი გადაადგილების კონტროლით;
 - ე.გ) ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის, შეზღუდვით ან კონტროლით;
 - ე.დ) იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით.
2. კოდექსის ამ და 143² მუხლების მიზნებისათვის პირის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მის თანხმობას მნიშვნელობა არ აქვს.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 143². არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1. არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
- ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
- გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) არაერთგზის;
 - ბ) იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით;
 - გ) ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ;
 - დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
 - ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
 - ვ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, -
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

- ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
 - ბ) რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, -
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა:

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 143³. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა

1. წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებულის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც, ამავე კოდექსის 143¹ მუხლის თანახმად, არის ექსპლუატაცია, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) არაერთგზის;
 - ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
 - გ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
 - დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, -
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა:

პირი, რომელმაც ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის თაობაზე ინფორმაცია გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

სამოქალაქო ჩართულობა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეების ინფორმირება სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ჩართულობისა და აქტივიზმის შესახებ. მათთვის პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპების, ასევე, პროექტის წარმატებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციებთან/თემის წევრებთან პარტნიორობის მნიშვნელობის გაცნობა.

შედეგი: მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ იწერება პროექტი. შეძლებენ პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას კლასის, სკოლის ან თემის დონეზე მასწავლებლებთან და პოლიციელებთან თანამშრომლობის გზით.

დრო: 2 სთ. 40 წთ ან 3 სთ. 40 წთ. (საჭიროების მიხედვით)

საჭირო რესურსები: ფლიპჩარტი, მარკერები, პროექტორი. უკუკავშირის ყუთი.

მთავარი გზავნილები მოსწავლეებისთვის:

- ა) თითოეული ინდივიდის განვითარებაზე გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ცხოვრობს;
- ბ) ცალკეულ ინდივიდს, მათ შორის მოზარდს შეუძლია იყოს ცვლილების აგენტი და მცირე ინიციატივების განხორციელებით ხელი შეუწყოს ცვლილებებს საკუთარ თემში;
- გ) ნებისმიერი ინიციატივისა თუ იდეის რეალურად განხორციელებისთვის აუცილებელია მოქმედებათა თანმიმდევრული გეგმის შედგენა და მისი შესრულება.

აქტივობა 1 – რას ნიშნავს სამოქალაქო პასუხისმგებლობა?

მიზანი: მოსწავლეთა მოტივირება, გახდნენ უფრო აქტიური მოქალაქეები და აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თემში რეალური ცვლილებების განხორციელებაზე.

დრო: 15 წთ

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის

1 წაუკითხეთ მოსწავლეებს ეზოპეს იგავი (სლაიდი #3):

ქსენოფმა აბანოში წასვლა გადაწვიტა და ეზოპეს უთხრა: წადი და ნახე, აბანოში ბევრი ხალხია თუ არაო.

დაბრუნდა ეზოპე და უთხრა ქსენოფს: მივედი და იქ მხოლოდ ერთადერთი ადამიანი ვნახეო. გაეხარდა ქსენოფს და სასწრაფოდ წავიდა აბანოში, თუმცა იქ მისულს მოულოდნელი სანახაობა დახვდა: აბანო სავსე იყო ხალხით.

გაბრაზებული ქსენოფე უკან დაბრუნდა და ეზოპეს უსაყვედურა, - რატომ მომატყუეო!

- ტყუილი ნამდვილად არ მითქვამს. აბანოს წინ ქვა ეგდო, ვინც კი გამოიარა ყველამ ფეხი წამოჰკრა, შეიგინა და გზა განაგრძო. მხოლოდ ერთი კაცი მოიქცა სხვაგვარად. ქვას ფეხი

რომ წამოჰკრა, აილო და გადააგდო. მეც ამიტომ ვიფიქრე, აქ ხალხი ბევრია, მაგრამ ადამიანი მხოლოდ ერთი კაცია-მეთქი.

2 დასვით კითხვა (სლაიდი #4):

თქვენი აზრით, რა დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ იგავიდან გამომდინარე?

3 მოსწავლეების პასუხების მოსმენის შემდეგ, განმარტეთ, რომ იგავში აქცენტი სწორედ **სამოქალაქო პასუხისმგებლობის** მნიშვნელობაზე კეთდება - თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობაა, იზრუნოს იმ გარემოს გაუმჯობესებაზე, რომელშიც თავად ცხოვრობს და არ დაელოდოს, როდის გააკეთებს ამას სხვა. სწორედ ასეთ მიდგომას შეუძლია რეალური ცვლილებების მოხდენა საზოგადოებაში.

მოუყვანეთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის, სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითები თქვენი გამოცდილებიდან ან შეგიძლიათ გაუზიაროთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები:

- ერთ-ერთ სოფელში, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და პოლიციელის თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი, რომლის წარმატებაც **ადგილობრივ ხელისუფლებასთან** სწორმა კომუნიკაციამ და თანამშრომლობამ განაპირობა. კერძოდ, სოფელში გადაიჭრა ნაგვის უკონტროლო გადაყრის პრობლემა - დაიდგა ნაგვის ურნები და გამოიყო ნაგვის მანქანა ურნებიდან ნაგვის გასატანად.
- ერთ-ერთი რეგიონის რამდენიმე სოფელს მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდა. ბიბლიოთეკაში ძირითადად ძველი და საკმაოდ შელახული წიგნები ინახებოდა. კვლავ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და პოლიციელების ურთიერთთანამშრომლობით, დაიგეგმა პროექტი, რომელიც გულისხმობდა კომუნიკაციის დამყარებას როგორც ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ასევე, გამომცემლობებთან და მოსახლეობასთან, რათა განემარტათ მათთვის ბიბლიოთეკის განახლებისა და გამდიდრების მნიშვნელობა და მოეწოდებინათ სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ თითოეული ჩართული მხარისთვის. შედეგად, სოფელში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა, რომელიც აღიჭურვა ყველასთვის საკმარისი რაოდენობის, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურით.

აქტივობა 2 - რას ნიშნავს სამოქალაქო ჩართულობა და აქტივიზმი და რისთვის არის ის საჭირო?

მიზანი:

დრო: 15 წთ

ინსტრუქცია პოლიციელისთვის

1 დასვით კითხვა:


თქვენი აზრით, რა გავლენას შეიძლება ახდენდეს ერთმანეთზე ერთი ინდივიდუალური ადამიანი (ინდივიდი) და საზოგადოება?

2 მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ, აუხსენით შემდეგი (სლაიდი#6):

განვითარების განვითარების ეკოლოგიური სისტემების თეორიის მიხედვით, რომლის ავტორიც არის ური ბრონფენბრენერი¹⁹, ადამიანის განვითარებაზე გავლენას ახდენს მის გარშემო არსებული გარემო ანუ სისტემები და მისი ურთიერთობა ამ სისტემებთან. გამოიყოფა სისტემების რამდენიმე დონე, რომლებშიც მოიაზრება ოჯახი, მეგობრები, სკოლა, სამეზობლო, სამსახური, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, კულტურული თავისებურებები და ა.შ.

მეტი თვალსაჩინებისა და კონკრეტულობისთვის განვიხილოთ ამ სისტემების ვიზუალური გამოსახულება.

¹⁹ არ არის სავალდებულო მოსწავლეებისთვის აღნიშნული თეორიის სახელწოდებისა და მისი ავტორის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათ გაიაზრონ თქვენ მიერ გადაცემული ინფორმაციის მთავარი არსი.



მაგალითად, ის, თუ როგორი ურთიერთობებია ოჯახში, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის. ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვზე ის, თუ რამდენად პოზიტიური ურთიერთობა, კომუნიკაცია აქვს მის ოჯახს და სკოლას ერთმანეთთან.

ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობაც გავლენას ახდენს თითოეულ ინდივიდზე. მაგალითად, მნიშვნელოვანია, რა შედეგს აძლევს კანონი დასაქმებულ დედას, რომელსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავს; ან, როგორია კანონი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით და ა.შ.

საინტერესოა, რომ თავის მხრივ, ინდივიდსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს იმ გარემოზე, რომელშიც ცხოვრობს. მაგალითად, თუ ბავშვი არის გაწონასწორებული, ყურადღებიანი და პატივისცემით ექცევა მშობლებს, მისი ამგვარი ქცევა გავლენას ახდენს მშობლების განწყობაზე და მათი ურთიერთობა შვილთან უფრო პოზიტიური ხდება.

ცალკეულ ინდივს მხოლოდ თავის მიკროგარემოზე კი არა, მეზო, ეგზო და ზოგჯერ, მაკრო გარემოზეც კი შეუძლია გავლენის მოხდენა და მასში ცვლილებების შეტანა (სლაიდი #7).

თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის:

3 მოსწავლეების პასუხების მოსმენის შემდეგ, განუმარტეთ მათ:

ცალკეულ ინდივიდს ან მოქალაქეთა ჯგუფს არა მხოლოდ თავის მიკროგარემოზე, არამედ მეზო, ეგზო და ზოგჯერ, მაკრო გარემოზეც შეუძლია გავლენის მოხდენა და მასში ცვლილებების შეტანა. რეალური ცვლილებების მიღწევა შესაძლებელია სამოქალაქო აქტივიზმის გზით.

სკოლის დონეზე, შეიძლება განხორციელდეს საკლასო, სასკოლო ან სათემო პროექტები, თემში/ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ მეზობელ ქალაქში/სოფელში არსებულ სკოლებთან პარტნიორობით (სლაიდი #8).

თუ შევაჯამებთ, სამოქალაქო აქტივიზმი/ჩართულობა შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს (სლაიდი #9):

სამოქალაქო აქტივიზმი/ჩართულობა, ეს არის მოქალაქეების მიერ განხორციელებული ინდივიდუალური და კოლექტიური აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს ხალხისთვის აქტუალური სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა საკითხების იდენტიფიცირებასა და მათ მოგვარებას.

აქტივობა 3 – რას ნიშნავს პროექტი?

მიზანი: მოზარდებისთვის პროექტის მნიშვნელობის განმარტება.

დრო: 10 წთ

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის:

1 აუხსენით მოსწავლეებს შემდეგი:

თავდაპირველად, განვმარტოთ, რას ნიშნავს პროექტი (სლაიდი #10).

პროექტი ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გამოიჩინონ სამოქალაქო აქტივიზმი და შეძლონ ცვლილებების მოხდენა.

ზოგადი განმარტებით, პროექტი ეს არის წინასწარ დაგეგმილი აქტივობებისგან შემდგარი სამუშაო, რომელმაც უნდა მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს, განხორციელდეს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, წინასწარ განსაზღვრული ვადებისა და ბიუჯეტის ფარგლებში.

არსებობს ბევრი სხვადასხვა დანიშნულების, ფორმატისა თუ შინაარსის პროექტი, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე სკოლის ფარგლებს გარეთ, თავად სასკოლო თემის (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) ან სხვა ორგანიზაციების ინიციატივით.

პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე კვირით, თვით ან წლით. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია შემსრულებელი ჯგუფი.

აქტივობა 4 - პროექტის გეგმის განხილვა

მიზანი: მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება პროექტის დაგეგმვისთვის საჭირო ეტაპების, მეთოდებისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.

დრო: 30 წთ

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის

1 თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ წინასწარ მომზადებული დაჭრილი მასალა (იხ. დანართი 1) და მიეცით შემდეგ ინსტრუქცია (სლაიდი #11):

თქვენ დაგირიგდათ დაჭრილი მასალა. თქვენი ამოცანაა:

1. იპოვოთ პროექტის დაგეგმვისთვის საჭირო ეტაპები და დაალაგოთ ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით;
2. თანმიმდევრობით დალაგებულ ეტაპებს შეუსაბამოთ კონკრეტული მაგალითები.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დავალებას შეასრულებენ, გამოიტანეთ ეკრანზე შევსებული ცხრილი და სთხოვეთ მათ, შეადარონ თავისი ნამუშევარი (სლაიდები #12-16).

N	ეტაპი	მაგალითი
1	პროექტის სახელი - რა იქნება სახელი, რომელიც მოკლედ და გასაგებად გადმოსცემს პროექტის ძირითად შინაარსს?	მწვანე სივრცე ჩვენი სოფლისთვის
2	საჭიროებების/პრობლემის იდენტიფიცირება - რატომ არის ეს საკითხი აქტუალური?	თემში არ არსებობს სივრცე, სადაც ახალგაზრდებსა და ზოგადად, თემის მოსახლეობას ექნებათ დასვენების, ერთად შეკრების ან სხვადასხვა

		კულტურული ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა.
3	პროექტის მიზანი - რა არის პროექტის ცენტრალური მიზანი? რა საკვანძო პრობლემას ასახავს და რა ცვლილების მიღწევას მოიაზრებს?	სოფლის ყველა ასაკის მაცხოვრებლის ცხოვრებით კმაყოფილების გაზრდა, მცირე ზომის საზოგადოებრივი ბაღის (სკვერის) მოწყობის გზით, სადაც მათ დროის სასიამოვნოდ გატარებასთან ერთად, ექნებათ ერთად შეკრების, სოფლისთვის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა.
4	პროექტის შედეგი - რა კონკრეტული შედეგები დადგება? რა შეიცვლება და ვისთვის?	მოწყობილია და გამწვანებულია სივრცე სოფლის ცენტრში, სადაც არსებობს 6 დასასვენებელი გრძელი სკამი, სამი საქანელა ბავშვებისთვის და ორი ფანჩატური (თითოეული 4 კვ.მ). თემის ყველა ასაკის წევრს აქვს შეკრებისა და დასვენების შესაძლებლობა.
5	სამიზნე ჯგუფი - რომელი კონკრეტული ჯგუფისთვისაა განკუთვნილი პროექტი?	სოფლის მოსახლეობა, ყველა ასაკობრივი ჯგუფი.
6	პარტნიორები - ვინ იქნებიან პროექტის პარტნიორები?	<ul style="list-style-type: none"> • მეზობელი სოფლის სკოლა (სოფელი მდებარეობს ძალიან ახლოს პროექტის ორგანიზატორ სკოლასთან); • სკოლის მოსწავლეთა მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; • სოფლის საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია; • ადგილობრივი გამგეობა; • პოლიცია; • ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი.
7	რა? - რა აქტივობები განხორციელდება? ²⁰	<ol style="list-style-type: none"> 1. პროექტის დაწერა (შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის ჩათვლით) და საჭირო განცხადებების მომზადება; 2. სკვერისთვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფა; 3. სკვერისთვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფისა და მისი მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება; 4. დასასვენებელი სკამების, ფანჩატურებისა და საქანელების დამზადება;

²⁰ აქტივობების ჩამონათვალი ნიშნავს კონკრეტული სამოქმედო გეგმის არსებობას.

		<ol style="list-style-type: none"> 5. სკვერის მოსაწყობად საჭირო ხე და სხვა მასალის მობილიზება; 6. სამუშაო იარაღების მობილიზება; 7. სკვერში ყვავილებისა და სხვა მცენარეების გაშენება; 8. სანაგვე ურნების დამონტაჟება; 9. ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა; 10. მიღებული გამოცდილების დოკუმენტირება.
8	<p>ვინ? - ჩართული პირებიდან/ორგანიზაციებიდან/პარტნიორებიდან ვინ რას გააკეთებს?</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეები და მასწავლებლები; 2. ადგილობრივი ხელისუფლება; 3. ადგილობრივი ხელისუფლება; 4. მოსწავლეები; მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; პოლიცია; 5. მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი; 6. მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი; 7. მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; 8. ადგილობრივი ხელისუფლება; 9. პოლიცია; 10. მოსწავლეები და მასწავლებლები.
9	<p>როდის? - როდის დაიწყება და დასრულდება თითოეული აქტივობა?</p>	<p>1.03.2020 – 15.06.2020.</p>
10	<p>რა რესურსებით? - პროექტი განხორციელებელისთვის რა მატერიალური ან ადამიანური რესურსები იქნება საჭირო?</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ადამიანური რესურსები; 2. ტექნიკური რესურსები - კომპიუტერი, პრინტერი, კალმები, ფურცლები; 3. ფიცრები; 4. რკინის მილები; 1. თოკები; 2. ლურსმები; 3. ჩაქუჩი; 4. ლაქი; 5. საღებავი; 6. ყვავილების თესლები და ნერგები; 7. სატვირთო ავტომობილი; 8. საწვავი
11	<p>რა თანხით? - თითოეული აქტივობის ფარგლებში, კონკრეტულად რაში დაგჭირდებათ თანხა და რამდენი?</p>	<p>400 ლარი.</p> <p>ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების უმეტესი ნაწილი გაღებული იქნება თავად მოსახლეობისა და სხვა პარტნიორების მიერ.</p>

ინსტრუქცია პოლიციელისთვის

2 შეაჯამეთ აქტივობა ინტერაქციული მინი-ლექციის სახით:

როგორც ვნახეთ, პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია მოქმედებების გარკვეული თანმიმდევრობის დაცვა. უფრო დეტალურად განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი (სლაიდები #17-23):

1. საჭიროებების/პრობლემის იდენტიფიცირება.

მნიშვნელოვანია, რომ საკითხი, რომელსაც პროექტში ვეხებით, აქტუალურობით გამოირჩეოდეს. აქტუალური პრობლემის გამოკვეთა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით:

- ა) გამოკითხვის ჩატარება;
- ბ) დაკვირვება;
- გ) ინტერვიუს აღება თანატოლების და/ან მასწავლებლებისგან;
- დ) სხვადასხვა შეხვედრებში მონაწილეობა და ამ შეხვედრებზე გონებრივი იერიშის მეთოდით შეხვედრის მონაწილეთა აზრის გაგება;
- ზ) სხვადასხვა ნაშრომების, სტატიების, ანგარიშების გაცნობა.

მას შემდეგ, რაც საჭიროებას/პრობლემას გამოკვეთთ, საჭიროა მისი ანალიზი.

2. საჭიროების/პრობლემის ანალიზი

ეფექტიანი პროექტის გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია, კარგად გავეცნოთ პრობლემის არსს და ყოველმხრივ შევისწავლოთ იგი.

ამაში ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხები დაგვეხმარება:

1. რა შეიძლება იყოს ამ საჭიროების/პრობლემის წარმოშობის მიზეზები?
2. მისი მოგვარების რა გზები შეიძლება არსებობდეს?
3. რა არის უკვე გაკეთებული ამ მიმართულებით? ვის მიერ?
4. რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს? მასწავლებლებს? პოლიციელებს? მშობლებს?
5. ვინ იქნება პროექტის სამიზნე ჯგუფი (ვისთვის იქნება განკუთვნილი პროექტი? რომელი კლასის მოსწავლეებისთვის? მასწავლებლებისთვის? მშობლებისთვის?)
6. რა რესურსები გვჭირდება?
7. ხომ არ არის საჭირო პროექტის იდეის/გეგმის ვინმესთან შეთანხმება? რჩევის მიღება?
8. ხომ არ ვარდევთ ვინმეს უფლებას?

9. ვინ არიან ის ადამიანები, ორგანიზაციები/დაწესებულებები, რომლებსაც შეუძლიათ ან ევალებათ ამ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა/ხელის შეწყობა? ხომ არ ჩავრთოთ რაიმე ფორმით პროექტში ისინიც?
10. როდის უნდა დავიწყოთ პროექტი? როდის უნდა დავსრულოთ?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება, განსაზღვროთ პროექტის მიზანი/მიზნებიც.

შენიშვნა: ყოველი კონკრეტული საკითხის შემთხვევაში, შესაძლოა გაჩნდეს დამატებითი კითხვებიც.

3. პროექტის მიზანი

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მიზანი იყოს ნათელი, გასაგები და „გონიერი“ (ინგლ. **S.M.A.R.T.**) რადგან პროექტის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მიზნის სწორად ფორმულირებაზე.

S.M.A.R.T. მიზანი ნიშნავს შემდეგს:

S. კონკრეტული (Specific) - მიზანი უნდა იყოს კონკრეტული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული;

M. გაზომვადი (Measurable) - მიზანი უნდა მოიცავდეს ისეთ საზომ პარამეტრებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, მიღწეულ იქნა თუ არა შედეგი;

A. მიღწევადი (Achievable) - მიზანი უნდა იყოს რეალისტური - პროექტის ავტორები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ გააჩნიათ საკმარისი რესურსები და უნარები ამ მიზნის მისაღწევად;

R. შესაბამისი, ადეკვატური (Relevant) - მიზანი უნდა შეესაბამებოდეს რეალურ საჭიროებებს, ნათელი უნდა იყოს, ვისთვის არის მნიშვნელოვანი ამ მიზნის მიღწევა და რატომ;

T. კონკრეტულ დროში გაწერილი - მიზნის მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

SMART მიზნის მაგალითი: მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, სკოლის ეზოში სპორტული ინვენტარის დამონტაჟება (სტანდარტული კომპლექტი) 2020 წლის 15 სექტემბრისთვის, პოლიციის, სკოლის, მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ურთიერთთანამშრომლობის გზით.

4. პროექტის პარტნიორები

პროექტს, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა უწყებებთან თუ ორგანიზაციებთან პარტნიორობით, წარმატების უფრო მეტი ალბათობა აქვს. პროექტის პარტნიორობად შეიძლება მოიაზრობოდეს ყველა, ვისაც შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს პროექტის შინაარსთან. ეს შეიძლება იყოს:

- მეზობელი სკოლა ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა, საბავშვი ბაღი, რესურს-ცენტრი, განათლების სამინისტრო);

- ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლება - (მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგეობის სხვადასხვა სამსახური, მერია, სამინისტროები, პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი);
- პოლიცია;
- სამედიცინო დაწესებულება;
- ადგილობრივი ან საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური დაწესებულებები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ადგილობრივი ტელევიზია/რადიო/გაზეთი და სხვ.
- ბიზნეს-სექტორი.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ არსებობს პარტნიორობის სხვადასხვა ფორმა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო ამა თუ იმ აქტივობის ერთობლივი ძალებით დაფინანსებაში, არამედ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაზე ერთობლივ ზრუნვაში. მაგალითად, პარტნიორობის ფარგლებში, შესაძლებელია რაიმე რესურსის ან სატრენინგო ოთხის უფასოდ გამოყოფა, ტრენინგის ან სამუშაო შეხვედრის ფასილიტაცია ანაზღაურების გარეშე და სხვ. მასწავლებლისა და პოლიციელის მიერ ერთობლივად ჩატარებული გაკვეთილები ორი უწყების - განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტნიორობის შესანიშნავი მაგალითია, რადგან როგორც პოლიციელის, ასევე მასწავლებლის საერთო მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად ისინი თანამშრომლობენ დამატებითი ანაზღაურების მიღების გარეშე.

პროექტის განხორციელების გეგმა

პროექტის გეგმის შედგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც ხორციელდება პროექტის საწყის ეტაპზე.

პროექტის გეგმა ეს არის ფორმალური დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პროექტთან დაკავშირებული ყველა შეთანხმებული გადაწყვეტილება შუალედური მისაღწევი შედეგების, აქტივობების, რესურსების, პასუხისმგებელი მხარეების, შედეგების შეფასების სტრატეგიების, ვადებისა და ბიუჯეტის მითითებით.

პროექტი გეგმას ადგენს პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (პროექტის მენეჯერი, ხელმძღვანელი, ლიდერი) პროექტის გუნდთან და პარტნიორებთან ერთად. სასურველია, პროექტის გეგმა გაზიარებული იყოს ყველა ჩართულ მხარესთან, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმილი აქტივობების დროულ და შეუფერხებელ განხორციელებას და მიზნების მიღწევას.

პროექტის შედეგები

როგორც წესი, პროექტის შედეგები გამომდინარეობს და უკავშირდება პროექტის მიზნებს.

პროექტის შედეგები, ეს არის იმ ცვლილებათა ჩამონათვალი, რომელიც მოსალოდნელია პროექტის განხორციელების შედეგად. ცვლილება შეიძლება უკავშირდებოდეს ცალკეულ ინდივიდებს, თემს, საზოგადოებას ან ინსტიტუტებს და ასახავდეს პროგრესს ყოფით პირობებში, ურთიერთობებში, ცოდნაში, უნარებში, შეხედულებებში ან ქცევაში.

მისაღწევი შედეგები გაწერილი უნდა იყოს დროში თანმიმდევრულად - დაწყებული პირველადი შედეგების მითითებით, გაგრძელებული შუალედური და საბოლოო შედეგები მითითებით.

საჭიროა, პროექტის საწყის ეტაპზევე განისაზღვროს, რა კონკრეტული ხელშესახები შედეგი/შედეგები დადგება პროექტის დასრულების შემდეგ და როგორ მოხდება მიღწეული შედეგების შეფასება.

პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი ეს არის პროექტის ხარჯების ამსახველი მთავარი ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, თუ რა ფინანსური რესურსებია საჭირო კონკრეტული აქტივობების განხორციელებისთვის და დროის რა პერიოდში.

პროექტი ბიუჯეტს ადგენს პროექტის ფინანსურ მხარეზე პასუხისმგებელი პირი პროექტის მენეჯერთან (ხელმძღვანელთან, ლიდერთან) ერთად. ზოგჯერ, პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, საჭირო ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა პროექტთან დაკავშირებული ცვლილებების ასახვის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი ზუსტ შესაბამისობაში იყოს პროექტის ბიუჯეტთან.

აქტივობა 5 - პრობლემის იდენტიფიცირება, პროექტის მიზნისა და აქტივობების განსაზღვრა

მიზანი: პრობლემის იდენტიფიცირება, პროექტის მიზნისა და აქტივობების განსაზღვრა.

დრო: 30 წუთი ან 1 საათი (საჭიროების მიხედვით)

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის

1. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შევთანხმდეთ, რა საკითხთან/პრობლემასთან დაკავშირებით გვსურს პროექტის დაგეგმვა და განხორციელება?

- გვაქვს უკვე იდეები?

- თუ, საჭიროა გამოკითხვის ჩატარება, ინტერვიუების აღება ან სხვა მეთოდებისთვის მიმართვა?
- აქტუალური იქნებოდა პროექტის დაგეგმვა სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ?
 - ტოლერანტობა;
 - ბავშვთა დაცვა;
 - კონფლიქტის გადაჭრა;
 - ცხოვრების ჯანსაღი წესი;
 - ადრეული ქორწინება;
 - ოჯახში ძალადობა;
 - ტრეფიკინგი;
 - კიბერდანაშაული.

- თუ, სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს სკოლაში? თემში?

ვიმსჯელოთ, გამოვკვეთოთ პრობლემა, რომელზე რეაგირებაც გვსურს, შემდეგ კი, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, გავაანალიზოთ ის, კითხვების გამოყენებით, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ:

1. რა შეიძლება იყოს ამ საჭიროების/პრობლემის წარმოშობის მიზეზები?
2. მისი მოგვარების რა გზები შეიძლება არსებობდეს?
3. რა არის უკვე გაკეთებული ამ მიმართულებით? ვის მიერ?
4. რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს? მასწავლებლებს? პოლიციელებს? მშობლებს?
5. ვინ იქნება პროექტის სამიზნე ჯგუფი (ვისთვის იქნება განკუთვნილი პროექტი? რომელი კლასის მოსწავლეებისთვის? მასწავლებლებისთვის?)
6. რა რესურსები გვჭირდება?
7. ხომ არ არის საჭირო პროექტის იდეის/გეგმის ვინმესთან შეთანხმება? რჩევის მიღება?
8. ხომ არ ვარღვევთ ვინმეს უფლებას?
9. ვინ არიან ის ადამიანები, ორგანიზაციები/დაწესებულებები, რომლებსაც შეუძლიათ ან ევალებათ ამ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა/ხელის შეწყობა? ხომ არ ჩავრთოთ რაიმე ფორმით პროექტში ისინიც?
10. როდის უნდა დავიწყოთ პროექტი? როდის უნდა დავსრულოთ?
11. სხვა კითხვაც ხომ არ გვაქვს?

2. პრობლემის ანალიზის შემდეგ, ჩამოვაცალიბოთ პროექტის მიზანი S.M.A.R.T. მიზნის პრინციპების გათვალისწინებით.
3. ამის შემდეგ, იმსჯელოთ, რა კონკრეტული აქტივობების განხორციელებას საჭირო მიზნის მისაღწევად. თავდაპირველად, აღრიცხეთ ყველა იდეა, რომელიც გაჟღერდება პროექტის ჯგუფის წევრების მიერ, შემდეგ კი, თანდათან გაცხრილეთ და დატოვეთ მათგან ყველაზე აუცილებელი აქტივობები.

აქტივობა 6 - პროექტის დაწერა

მიზანი: პროექტის დაგეგმვის პრაქტიკული უნარების განვითარება მოსწავლეებში.

დრო: 1 სთ. 30 წთ

ინსტრუქცია მასწავლებლისა და პოლიციელისთვის

ქვემოთ მოცემულია პროექტების შაბლონის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ნიმუში.

პრობლემის იდენტიფიცირების, პროექტის მთავარი მიზნის ჩამოყალიბებისა და ძირითად საქმიანობებზე შეთანხმების შემდეგ, შეუდგით პროექტის წერას.

ამისათვის, გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული შაბლონი:

პროექტის განაცხადი

ნაწილი 1: პროექტის ზოგადი აღწერილობა

პროექტის სახელი
პრობლემა <i>აღწერეთ თემში/ახალგაზრდებში გამოკვეთილი პრობლემა, საჭიროება. დაასაბუთეთ, რატომ არის ეს პრობლემა აქტუალური.</i>
მიზანი <i>რა არის პროექტის მიზანი?</i>

<p>შედეგი რა კონკრეტული შედეგების მიღწევა გასურთ პროექტით? რა შეიცვლება და ვისთვის?</p>	
<p>სამიზნე ჯგუფი რომელი კონკრეტული ჯგუფისთვისაა განკუთვნილი პროექტია? რამდენია მათი რაოდენობა? რა სარგებელს მიიღებენ ისინი?</p>	
<p>პროექტის საქმიანობების მოკლე აღწერა მოკლედ აღწერეთ ის საქმიანობები, რასაც განახორციელებთ პროექტის ფარგლებში.</p>	
<p>პარტნიორობა აღწერეთ, ვინ არიან ჩართული პროექტში და რა არის თითოეულის როლი?</p>	
<p>ჩართული სკოლები და მათი როლი</p>	
<p>პოლიციელებისა და პედაგოგების როლი</p>	
<p>ჩართული კლასები და მათი როლი</p>	

<i>სხვა მხარეები და მათი როლი</i>	

ნაწილი 2: სამოქმედო გეგმა

#	განსახორციელებელი აქტივობები	მხარეთა პასუხისმგებლობები (ვინ რას და როგორ აკეთებს)	საჭირო რესურსები	აღებული ვალდებულები ს შესრულების ვადები
1				
2				
3				
4				
5				

ნაწილი 3: საჭირო რესურსები და სავარაუდო ბიუჯეტი

#	ნივთის/საქონლის დასახელება, აღწერა	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ფასი
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
	თანხა სულ:			

შენიშვნა:

გაითვალისწინეთ, პროექტის განხორციელების პროცესში, სასარგებლო იქნება ჩანაწერების წარმოება იმასთან დაკავშირებით, თუ რა კონკრეტული გამოცდილება შეიძინეთ:

- რა არის ის, რაც უშედეგო აღმოჩნდა, ან პირიქით, რამაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია საჭიროების/პრობლემის გადაჭრაში?
- გამოიკვეთა თუ არა პროექტში სხვადასხვა პარტნიორების ჩართულობის აუცილებლობა?
- რა ხელისშემშლელი ან ხელის შეწყობი ფაქტორების არსებობს მსგავსი პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის?

ამ და სხვა კითხვებზე მიღებული პასუხებით შეგროვილი ინფორმაციის გათვალისწინება დაგეხმარებათ მომავალი პროექტების ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში.

დანართი 1 - დასაჭრელი მასალა

დაჭერით ქვემოთ მოცემული ცხრილის იმდენი ეგზემპლარი, რამდენი ჯგუფიც იმუშავენ კლასში. აურიეთ დაჭრილი მართკუთხედები ერთმანეთში და სთხოვეთ მოზარდებს, იმუშაონ შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით:

1. იპოვოთ პროექტის დაგეგმვისთვის საჭირო ეტაპები და დაალაგოთ ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით;
2. თანმიმდევრობით დალაგებულ ეტაპებს შეუსაბამოთ კონკრეტული მაგალითები.

N	ეტაპი	მაგალითი
1	პროექტის სახელი - რა იქნება სახელი, რომელიც მოკლედ და გასაგებად გადმოსცემს პროექტის ძირითად შინაარსს?	მწვანე სივრცე ჩვენი სოფლისთვის
2	საჭიროებების/პრობლემის იდენტიფიცირება - რატომ არის ეს საკითხი აქტუალური?	თემში არ არსებობს სივრცე, სადაც ახალგაზრდებსა და ზოგადად, თემის მოსახლეობას ექნებათ დასვენების, ერთად შეკრების ან სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა.
3	პროექტის მიზანი - რა არის პროექტის ცენტრალური მიზანი? რა საკვანძო პრობლემას ასახავს და რა ცვლილების მიღწევას მოიაზრებს?	სოფლის ყველა ასაკის მაცხოვრებლის ცხოვრებით კმაყოფილების გაზრდა, მცირე ზომის საზოგადოებრივი ბაღის (სკვერის) მოწყობის გზით, სადაც მათ დროის სასიამოვნოდ გატარებასთან ერთად, ექნებათ ერთად შეკრების, სოფლისთვის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა.
4	პროექტის შედეგი - რა კონკრეტული შედეგები დადგება? რა შეიცვლება და ვისთვის?	მოწყობილია და გამწვანებულია სივრცე სოფლის ცენტრში, სადაც არსებობს 6 დასასვენებელი გრძელი სკამი, სამი საქანელა ბავშვებისთვის და ორი ფანჩატური (თითოეული 4 კვ.მ). თემის ყველა ასაკის წევრს აქვს შეკრებისა და დასვენების შესაძლებლობა.
5	სამიზნე ჯგუფი - რომელი კონკრეტული ჯგუფისთვისაა განკუთვნილი პროექტი?	სოფლის მოსახლეობა, ყველა ასაკობრივი ჯგუფი.
6	პარტნიორები - ვინ იქნებიან პროექტის პარტნიორები?	<ul style="list-style-type: none"> • მეზობელი სოფლის სკოლა (სოფელი მდებარეობს ძალიან ახლოს პროექტის ორგანიზატორ სკოლასთან);

		<ul style="list-style-type: none"> • სკოლის მოსწავლეთა მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; • სოფლის საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია; • ადგილობრივი გამგეობა; • პოლიცია; • ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი.
7	რა? - რა აქტივობები განხორციელდება? ²¹	<ol style="list-style-type: none"> 11. პროექტის დაწერა (შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის ჩათვლით) და საჭირო განცხადებების მომზადება; 12. სკვერისთვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფა; 13. სკვერისთვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფისა და მისი მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება; 14. დასასვენებელი სკამების, ფანჩატურებისა და საქანელების დამზადება; 15. სკვერის მოსაწყობად საჭირო ხე და სხვა მასალის მობილიზება; 16. სამუშაო იარაღების მობილიზება; 17. სკვერში ყვავილებისა და სხვა მცენარეების გაშენება; 18. სანაგვე ურნების დამონტაჟება; 19. ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა; 20. მიღებული გამოცდილების დოკუმენტირება.
8	ვინ? - ჩართული პირებიდან/ორგანიზაციებიდან/პარტნიორებიდან ვინ რას გააკეთებს?	<ol style="list-style-type: none"> 11. მოსწავლეები და მასწავლებლები; 12. ადგილობრივი ხელისუფლება; 13. ადგილობრივი ხელისუფლება; 14. მოსწავლეები; მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; პოლიცია; 15. მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი; 16. მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი; 17. მშობლები და თემის სხვა მოსახლეობა; 18. ადგილობრივი ხელისუფლება; 19. პოლიცია; 20. მოსწავლეები და მასწავლებლები.

²¹ აქტივობების ჩამონათვალი ნიშნავს კონკრეტული სამოქმედო გეგმის არსებობას.

9	როდის? - როდის დაიწყება და დასრულდება თითოეული აქტივობა?	1.03.2020 – 15.06.2020.
10	რა რესურსებით? - პროექტი განხორციელებელისთვის რა მატერიალური ან ადამიანური რესურსები იქნება საჭირო?	<ul style="list-style-type: none"> 5. ადამიანური რესურსები; 6. ტექნიკური რესურსები - კომპიუტერი, პრინტერი, კალმები, ფურცლები; 7. ფიცრები; 8. რკინის მილები; 9. თოკები; 10. ლურსმები; 11. ჩაქუჩი; 12. ლაქი; 13. საღებავი; 14. ყვავილების თესლები და ნერგები; 15. სატვირთო ავტომობილი; 16. საწვავი
11	რა თანხით? - თითოეული აქტივობის ფარგლებში, კონკრეტულად რაში დაგჭირდებათ თანხა და რამდენი?	400 ლარი. ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების უმეტესი ნაწილი გაღებული იქნება თავად მოსახლეობისა და სხვა პარტნიორების მიერ.

გამოყენებული წყაროები

ადრეული ქორწინება

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ადრეულ ასაკში ქორწინება - გამოწვევები და გადაჭრის გზები, 2016.
4. John et al, 2019. Child marriage and psychological well-being in Niger and Ethiopia.
5. Plan International UK, 2013. “A girl’s right to say no to marriage.”

ოჯახში ძალადობა

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;
3. საქართველოს კონსტიტუცია;
4. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილება #437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე.
5. Brenda A. Miller et el. 2016. Alcohol, drugs, and violence in children’s lives.
6. Keith C. Klostermann, William Fals-Stewart. “Intimate partner violence and alcohol use: Exploring the role of drinking in partner violence and its implications for intervention.” 2006. ELSEVIER. Aggression and Violent Behavior, Volume 11, Issue 6, November-December 2006, Pages 587-597.

ტრეფიკინგი

1. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული ანგარიში. იანვარი-ივნისი, 2015;
2. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4178>
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/343>
4. საქართველოს კანონი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/Trafficking.aspx>
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. <http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba>
7. „ტრეფიკინგთან ბრძოლა,“ 2014. დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს შშს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ.
8. Counter-trafficking Training modules, 2016. Irish Government. <http://www.blueblindfold.gov.ie/en/BBF/IOM%20Train%20the%20Trainer%20Manual%20Original.pdf/files/IOM%20Train%20the%20Trainer%20Manual%20Original.pdf>
9. Minnesota Advocates for Human Rights, 2000. “Trafficking in Women: Moldova and Ukraine.”

სამოქალაქო ჩართულობა

1. American Psychological Association <http://www.apa.org/education/undergrad/civic-engagement.aspx>
2. Enquire – The Scottish Advice Service For Additional Support For Learning. Involving children and young people in decisions about their education. Second edition.
3. Richard P. Adler, Judy Goggin, 2005 What do we mean by “Civic Engagement”? Journal of Transformative Education, July 2005 3: 236-253,
4. Roger A. Hart, 1992. Children’s participation – From tokenism to citizenship. Innocenti Essays No.4. UNICEF.
5. Sara Siebert et al. 2009. Guiding principles of community mobilization. Principles of Community Mobilization series.